

**სასკოლო მზაობის შეფასება
ანგარიში**

2011



საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო



ეროვნული სასწავლო გეგმებისა
და შეფასების ცენტრი
NATIONAL CURRICULUM AND
ASSESSMENT CENTRE

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით.



პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი, შესაძლებელია, არ ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

ავტორები

ნინო ლაბარტყავა (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ფსიქოლოგიის ექსპერტი)

ია აფთარაშვილი (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ფსიქომეტრიკოსი)
მანია ხერხეულიძე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, პედიატრიული დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი)

ექსპერტები

მზია წერეთელი (ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, ეროვნული შეფასებების, კვლევებისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი)

ივანე კეჭაყმაძე (ექსპერტ-კონსულტანტი)

კოორდინატორი

ნინო ალელიშვილი

ISBN 978-9941-0-3218-9

სარჩევი

შესავალი

კვლევის მიზანი და დანიშნულება.....	5
მეთოდოლოგია.....	5
შერჩევა.....	5
სასკოლო მზაობის არსი და მნიშვნელობა.....	6
კვლევის შედეგები.....	6
დემოგრაფიული მონაცემები.....	6
სფერო: ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება.....	6
კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა.....	7
შედეგები.....	8
დასკვნები.....	18
სფერო: მეტყველება.....	20
კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა.....	21
შედეგები.....	22
დასკვნები.....	32
სფერო: შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა.....	32
კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა.....	32
შედეგები.....	33
დასკვნები.....	45
სფერო: სოციალურ-ემოციური განვითარება.....	46
კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა.....	46
შედეგები.....	47
ქვესფერო - ემოციური განვითარება.....	47
ქვესფერო - სოციალური განვითარება.....	48
დასკვნები.....	50
სფერო: სწავლისადმი მიდგომა.....	50
კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა.....	50
შედეგები.....	51
დასკვნები.....	51
რეკომენდაციები.....	51
გამოყენებული ლიტერატურა.....	54

შესავალი

მრავალი საერთაშორისო კვლევით დასტურდება, რომ ბავშვის სასკოლო მზაობა, სკოლაში შესვლის მომენტისათვის, მომავალში მისი აკადემიური წარმატების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია. 2010 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, პირველად განახორციელა პირველკლასელთა სასკოლო მზაობის შეფასება მთელი საქართველოს მასშტაბით.

კვლევის მიზანი და დანიშნულება

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის მასშტაბით პირველი კლასის მოსწავლეთა სასკოლო მზაობის შეფასება განვითარების ხუთი ძირითადი სფეროს მიხედვით. კვლევის შედეგები გვიჩვენებს ზოგად წარმოდგენას ბავშვთა სასკოლო მზაობის შესახებ და საშუალებას გვაძლევს, შედეგების შედარება მოვახდინოთ სქესის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და სხვა კატეგორიების ჭრილში. სკოლამდელი განათლების სფეროში სამომავლო პროექტების განხორციელების დროს კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება, როგორც საბაზო მონაცემები. ამასთანავე, შესაძლებელი იქნება კვლევაში მონაწილე ბავშვების შემდგომ აკადემიურ წარმატებაზე დაკვირვება.

მეთოდოლოგია

დოზინი:

სასკოლო მზაობის შეფასება წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით სტრატეგიული, კლასტერული შერჩევის პრინციპით შერჩეული 1500 პირველკლასელისა და მათი მშობლების რაოდენობრივ კვლევას.

სამიზნე ჯგუფები:

კვლევის ფარგლებში გამოიყო შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

- საქართველოში არსებული ყველა ქართულენოვანი საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები.

მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი:

სასკოლო მზაობის კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა ბავშვზე დაკვირვების ინსტრუმენტისა და მშობლის კითხვარის შემუშავება, რომლებიც მოიცავდა შემდეგ სფეროებს: შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა, სწავლისადმი მიდგომა, სოციალურ-ემოციური განვითარება, მეტყველება, ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება.

სასკოლო მზაობის ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო:

- სასკოლო მზაობის სხვადასხვა კითხვარი;
- ბავშვის განვითარების შესაფასებელი ტესტები (DENVER, PEDS:DM და სხვა), რომლებიც ხასიათდება მაღალი სენსიტიურობითა და სპეციფიკურობით;
- საქართველოსა და სხვა ქვეყნების მიერ შემუშავებული ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების სტანდარტი, რომელიც ასახავს ბავშვის განვითარების ნიშანსეტებს.

ინსტრუმენტის პირველადი ნიმუშის შემუშავებისა და ექსპერტიზის შემდეგ შედგა მისი პილოტირება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-მა ბავშვმა და მათმა მშობლებმა. მშობელთა გამოკითხვა და ბავშვზე უშუალო დაკვირვება აწარმოეს მკვლევარებმა, რომლებსაც ჩაუტარდათ სპეციალური ტრენინგი მშობლის კითხვარის და ბავშვზე დაკვირვების ფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით. კითხვარისა და დაკვირვების ინსტრუმენტის პილოტირების შემდეგ, შედეგების შესაბამისად, შევიდა მასში ცვლილებები.

შარჩევა

გენერალური ერთობლიობა: საქართველოში არსებული ყველა ქართულენოვანი საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები;

შერჩევის ერთობლიობა: 1500 ინტერვიუ, საქართველოს ყველა რეგიონი;

სტრატეგია: პირველი კლასის მოსწავლეთა ერთობლიობა დაიყო სტრატეგიად (სეგმენტებად). სტრატეგია დაიყო შემდეგი პარამეტრებით:

- I. რეგიონების მიხედვით;
- II. რეგიონებში დასახლების ტიპის მიხედვით;
- III. რეგიონებსა და დასახლების ტიპში სკოლის ზომის მიხედვით. არსებული სკოლები დაიყო

ორ ჯგუფად:

1. სკოლები, სადაც I კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25 ბავშვზე ნაკლებია (პატარა სკოლები);
2. სკოლები, სადაც I კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 24 ბავშვზე მეტია (დიდი სკოლები).

შერჩევის მოდელი: სტრატეგიული-კლასტერული.

სტრატეგიაში რესპონდენტების განაწილების შემდეგ, არსებული ბაზის გამოყენებით, შემთხვევითი სისტემატური შერჩევის პრინციპით განხორციელდა სტრატეგიაში კლასტერების (სკოლების) შერჩევა. თითოეულ კლასტერში გამოსაკითხ მოსწავლეთა რიცხვი 5-ის ან 6-ის ტოლია. შესაბამისად, სკოლების არჩევის შემდეგ მოხდა სკოლებში ბავშვების არჩევა მოსწავლეთა ბაზის გამოყენებით სისტემური შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე.

სასკოლო მზაობის არსი და მნიშვნელობა

თითოეული ბავშვი გამორჩეულია თავისი ინდივიდუალური თვისებებითა და განვითარების განსხვავებული ტრაექტორიით, რომელიც, ერთი მხრივ, განპირობებულია გენეტიკური ფაქტორებით, ხოლო მეორე მხრივ, გარემო ფაქტორების ზემოქმედებით. განვითარების სხვადასხვა სფეროს ნიშანსვებებსა თუ უნარ-ჩვევებს ცალკეული ბავშვი სხვადასხვა ასაკში აღწევს.

უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გამოიყენება ტერმინი „სასკოლო მზაობა“, რომელიც გულისხმობს ბავშვის მზაობას სკოლის სპეციფიკური მოთხოვნებისადმი. მრავალრიცხოვანი კვლევის შედეგებით დადგენილია, რომ სკოლაში სწავლის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია სკოლაში შესვლისას ბავშვის სასწავლო უნარ-ჩვევებზე, რომლებიც შესაბამისად, ასაკის მატებასთან ერთად ვითარდება. დადასტურებულია, რომ სკოლისათვის მზაობა არ განისაზღვრება მხოლოდ ბიოლოგიური ასაკით და დამოკიდებულია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მოტორული, სოციალურ-ემოციური, მეტყველებისა და კოგნიტური სფეროს განვითარების დონეზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვებს, რომლებიც სკოლაში შესვლის დროს არ იყვნენ მზად სწავლისთვის, აქვთ ნაკლები აკადემიური მოსწრება, სოციალური და ემოციური პრობლემების განვითარების შედარებით მაღალი რისკი. სასკოლო მზაობისთვის მეტად მნიშვნელოვანია ბავშვის სხვადასხვა სფეროს განვითარების მახასიათებლები. ბავშვი მზად უნდა იყოს სკოლისთვის ემოციურად, უნდა იყოს ჯანმრთელი, ჰქონდეს ურთიერთობების დამყარების უნარი, შესაბამისი მეტყველება და ა.შ. სასკოლო მზაობის ძირითად მახასიათებლებად გამოყოფენ:

- ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება;
- სოციალურ-ემოციური განვითარება;
- სწავლისადმი მიდგომა;
- მეტყველებისა და საკომუნიკაციო უნარების განვითარება;
- შემეცნებითი განვითარება და ზოგადი ცოდნა.

კვლევის შედეგები

დამოზრახვილი მონაცემები

კვლევა ჩატარდა 1499 ბავშვზე. მათგან 479 არის 5 წლის, ხოლო 1019 - 6-ის; ქალაქში მცხოვრები - 805 ბავშვია, სოფელში - 524, მთაში - 170; გოგონა - 758, ბიჭი - 741; ბალში დადიოდა - 1073, არ დადიოდა - 426. კვლევის შედეგები სფეროების მიხედვით დეტალურად აღწერილია ქვემოთ მოცემულ თავებში.

სწავრო: ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება

დადგენილია, რომ ბავშვის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს, როგორც მის სასკოლო მზაობაზე, ასევე - შემდგომში სწავლის უნარზე. ჯანმრთელი ბავშვი ენერგიით აღსავსეა, შრომისუნარიანია და შეუძლია ყურადღების გამახვილება სასწავლო პროცესზე, ადვილად უმკლავდება პირველ სირთულეებს და დაავადებებს. ადრეულ ასაკში ავადობის გამო სკოლის ხშირი გაცდენა მომავალში სწავლის პრობლემების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. კვლევების მიხედვით გამოვლენილია ჯანმრთელობის სფეროს რისკ-ფაქტორები, რომლებიც ბავშვის სწავლის უნარზე მოქმედებს. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ხშირი ავადობა, დღენაკლულობა, დაბადების მცირე წონა, კვებითი სტატუსი და

ა.შ. სასკოლო მზაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მოტორული სფეროს განვითარება. მსხვილი მოტორიკა ბავშვს საშუალებას აძლევს, შეინარჩუნოს წონასწორობა და კოორდინაცია, იმოძრაოს და ჩაერთოს ფიზიკურ აქტივობაში. ნატიფი მოტორიკის განვითარება აუცილებელია დახვეწილი მოძრაობების - ხატვის, წერის, წიგნის გადაფურცვლის და წვრილი საგნებით მანიპულირების უნარის - ჩამოყალიბებისათვის. სენსორო-მოტორიკის თვალსაზრისით, სასკოლო მზაობისთვის მნიშვნელოვანია ვიზუალურ-მოტორული ჩვევების განვითარება, რაზეც დამოკიდებულია ალქმის, თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარი. კვლევებით დადგენილია, რომ ბავშვებს, რომლებსაც არ აქვთ სათანადოდ განვითარებული მოტორული უნარ-ჩვევები, სკოლაში სწავლის პერიოდში ხშირად უყალიბდებთ არაკომპეტენტურობის შეგრძნება და დაბალი თვითშეფასება.

კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა

სასკოლო მზაობის საკვლევი მეთოდიკა შედგება ბავშვზე დაკვირვების ინსტრუმენტისა და მშობლის კითხვარისაგან. ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების ზოგიერთი დავალება მშობლის კითხვარისთვის იყო გათვალისწინებული, ზოგი კი - უშუალოდ ბავშვებისთვის.

ბავშვზე დაკვირვების ინსტრუმენტის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების ნაწილი მოიცავდა 10 კითხვას, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1

	დავალების შინაარსი	უნარი, რომელსაც აფასებს აღნიშნული დავალება
1	ცალ ფეხზე დგომა წონასწორობის შენარჩუნებით	უხეში მოტორიკა, წონასწორობის დაცვის უნარი
2	სწორ ხაზზე გავლა წონასწორობის შენარჩუნებით	უხეში მოტორიკა, კოორდინაციისა და წონასწორობის შენარჩუნების უნარი
3	ფურცელზე სხვადასხვა ადგილას დახატული სურათების სწორად მითითება შესაბამისი მიმართების გამოყენებისას (მარჯვნივ, მარცხნივ)	სივრცეში ორიენტაციის უნარი, მიმართებების ცოდნა
4	წერტილებით წარმოდგენილი ნახატის შეერთება	ნატიფი მოტორიკა, წვრილი კუნთების კოორდინაციისა და ალქმის უნარი
5	მსგავსი საგნების აღმოჩენა და წყვილად დაჯგუფება	ალქმის, მსგავსების აღმოჩენისა და კლასიფიცირების უნარები
6, 8	ადამიანის დახატვა და ასობის გადმოხატვა	ნატიფი მოტორიკა, წვრილი კუნთების კოორდინაცია, ალქმის, ხატვის და წერის უნარი
7, 9	ლაბირინთის გავლა და ასანყოფი სათამაშოს აწყობა	ალქმა, თვალისა და ხელის კოორდინაცია და ლოგიკური აზროვნების უნარები
10	გადასასვლელზე გადასვლის წესები შუქნიშნის ფერების მიხედვით	უსაფრთხოების წესების ცოდნა

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ტესტი - მაგალითად, „ადამიანის დახატვა“- ხშირად იზოლირებული ტესტის სახით გამოიყენება, როგორც ნატიფი მოტორიკის, ისე ბავშვის გლობალური განვითარების შესაფასებლად. მე-8 დავალება — „ასობის გადმოხატვა“- იძლევა ნატიფი მოტორიკის, ალქმის, თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარების შეფასების საშუალებას. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დავალება საკმაოდ გამარტივდა ინსტრუმენტის პილოტირების შემდეგ, ვინაიდან ბავშვთა დიდმა ნაწილმა ვერ შეასრულა 3 სიტყვისგან შემდგარი ფრაზის გადმოხატვა, რაც სასკოლო მზაობის ტესტების დიდი ნაწილის ერთ-ერთ დავალებას წარმოადგენს. მოცემული ტესტი მოდიფიცირდა, გამარტივდა და დაყვანილ იქნა ორი მარტივი სიტყვის („ეს ხეა“) გადმოხატვამდე.

მშობლის კითხვარში ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების ნაწილი მოიცავდა 20 კითხვას; კონკრეტულად რა ინფორმაციასა და შედეგზე გადის თითოეული კითხვა, მოცემულია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 2).


	დავალების შინაარსი	ინფორმაცია, რომელსაც გვანვძის აღნიშნული დავალება
1-4 6-9	კითხვები ეხება ბავშვის გესტაციურ ასაკს, დაბადების წონას, ქრონიკული პათოლოგიის არსებობას, ვირუსული ინფექციების სიხშირეს, იმუნიზაციის სტატუსს, მხედველობის მდგომარეობას	მოცემული კითხვები ასახავს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას
5	ბავშვის ამჟამინდელი წონა და სიმაღლე	ბავშვის ფიზიკური განვითარების შეფასება
10 11 18	ფეხსაცმლის შეკერის, ტანსაცმლის დამოუკიდებლად ჩაცმის და დავარცხნის უნარები	გვაძლევს ნატიფი მოტორიკის განვითარების შეფასების საშუალებას, წარმოდგენას იძლევა ბავშვის თავის მოვლის უნარზე
12 15	მოსწონს თუ არა აქტიური თამაშები, დადის თუ არა სპორტზე ან ცეკვაზე, რამდენ დროს ატარებს აქტიურ თამაშში	ფიზიკური აქტივობის უნარების შეფასება, ფიზიკურ აქტივობაზე დახარჯული დროის ოპტიმალურობის განსაზღვრა
16- 17	ხელების დამოუკიდებლად დაბანა, ტანსაცმლის შერჩევა ამინდის გათვალისწინებით	წარმოდგენას გვაძლევს ბავშვის ჰიგიენის უნარ-ჩვევებზე
19- 20	უსაფრთხოების წესების დაცვა, საშიში ნივთების გამოყენებისგან თავის არიდება.	უსაფრთხოების პრინციპების ცოდნისა და მათი გამოყენების უნარები

შედეგები

მშობელთა ანკეტირების საფუძველზე გამოვლინდა, რომ 1345 ბავშვი დაიბადა დროულად (93.6%), დღენაკლულობა აღინიშნა 60 (4.2%), ხოლო ვადაგადაცილება - 32 (2.2%) შემთხვევაში. ბავშვთა პროცენტული განაწილება, გესტაციური ასაკის მიხედვით, მოცემულია დიაგრამაზე 1.

ბავშვთა განაწილება გესტაციური ასაკის მიხედვით

დიაგრამა 1



ჩვენი კვლევის მიხედვით, არ დაფიქსირდა ბავშვის გესტაციური ასაკის კორელაცია უხემ და ნატიფ მოტორულ უნარებთან. განსხვავება სტატისტიკურად სანდო არ არის. გამონაკლისს წარმოადგენს მე-7 დავალება, რომელიც ეხება ნახატზე ლაბირინთის გავლას და მეტყველებს აღქმის, ლოგიკური აზროვნების და თვალისა და ხელის კოორდინაციის უნარებზე. გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კავშირი გესტაციურ ასაკსა და მოცემული დავალების შესრულებას შორის. დღენაკლულად დაბადებულმა ბავშვებმა, დროულებთან შედარებით, ნაკლებად შეძლეს მოცემული დავალების შესრულება ($r=0.067$; $p=.012$).

გამოკითხვით დადგინდა, რომ ბავშვთა დაბადების წონა მერყეობდა 1300 გ.-დან (მინიმალური) 6000 გ.-მდე (მაქსიმალური). უმეტეს შემთხვევაში (73.5%) წონა თავსდება 3000-4000 გრამის ფარგლებში. დაბადების მცირე წონის და დღენაკლულობის გავრცელება საქართველოში სხვა ქვეყნების ანალოგიურია. მცირე წონით დაბადებულ (2500 გრამამდე) ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 88-ს (6.1%). მათ შორის, დაბადების მცირე წონა აღინიშნა 5.9% შემთხვევაში, ხოლო დაბადების ძლიერ მცირე წონა - მხოლოდ 0,2% შემთხვევაში.

დაბადების სიგრძე მერყეობდა 30-59 სმ-ის ფარგლებში. მაჩვენებელთა უმეტესობის განაწილების საზღვარია 47-56 სმ-მდე.


ბავშვის დაბადების წონის ზეგავლენა მის მოტორულ უნარებზე (უხეში, ნატიფი მოტორიკა და სენსორულ-მოტორული ჩვევები) არ აღმოჩნდა სტატისტიკურად სანდო. ბავშვის დაბადების წონის მაჩვენებელთა კორელაცია სტატისტიკურად სარწმუნოა ბავშვის კითხვარის ფიზიკური ნაწილის მე-5 დავალებასთან, რომელიც მოიცავს მსგავსების აღმოჩენას და მის მიხედვით საგნების დაჯგუფებას. მოცემულ დავალებასთან გამოვლინდა დაბადების წონის დადებითი, სტატისტიკურად სანდო კორელაცია ($r=0.118$; $p=.000$). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნატიფი მოტორიკის კითხვები ერთმანეთთან სტატისტიკურად სანდო დადებით კორელაციაშია.

მრავალი კვლევით დადგენილია დღენაკლულობის და დაბადების ძლიერ მცირე წონის ზეგავლენა ბავშვთა განვითარებაზე. ჩვენი კვლევის შედეგები არ იძლევა მოცემული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რაც, შესაძლებელია, განპირობებული იყოს საკვლევ კონტინგენტში დღენაკლული და ძლიერ მცირე წონის ახალშობილთა სიმცირით.

მშობელთა ანკეტირების საფუძველზე გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა 17,2% იღებს სოციალურ დახმარებას. სოციალური დახმარების ტიპების მიხედვით განაწილება მოცემულია დიაგრამაზე 2.

სოციალური დახმარების ტიპები


დიაგრამა 2



ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებში (58 შემთხვევა) სხვადასხვა დაავადების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე 3.

ქრონიკულ დაავადებათა ხვედრითი წილი

დიაგრამა 3



ქრონიკულ დაავადებებს შორის შედარებით მაღალია ალერგიულ დაავადებათა ხვედრითი წილი. ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით, ქრონიკული დაავადებების არსებობა არ ახდენს სტატისტიკურად სარწმუნო გავლენას ბავშვთა უხეშ და ნატიფ მოტორულ უნარებზე.


მშობელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია ბავშვთა ამჟამინდელი წონის შესახებ 16 კგ-დან 45 კგ-ის ფარგლებში მერყეობს. ბავშვის წონეები დაჯგუფდა მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მაჩვენებლების მიხედვით ($\pm 2Z$ ქულა). წონის შეჯამებული მონაცემები მოცემულია ცხრილში 3.

ბავშვთა წონის მაჩვენებლები		
წონა კგ	სიხშირე	პროცენტი
(< 16)	31	2,4
(17-26)	1085	85,4
(27-33)	136	10,7
≥ 34	19	1,5
სულ	1273	100.0

მოცემული მონაცემების მიხედვით, ბავშვთა უმეტესობის წონა მოთავსებულია ნორმის, $-2Z$ და $+2Z$ ქულის ფარგლებში. წონის დეფიციტი ასაკთან შედარებით 5-6 წლის ასაკის ბავშვთა შორის 2.4%-ს შეადგენს, შედარებით ხშირია ჭარბი წონა, მთლიანობაში 12.3%, აქედან – ჭარბი წონა გვხვდება 10.7 %, ხოლო სიმსუქნე 1.5%. წონის განსხვავება სქესის მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამა 4-ზე. წონის განსხვავება 5-6 წლის ბავშვებში ასაკსა და სქესთან მიმართებაში სტატისტიკურად არ არის სარწმუნო.

წონის განაწილება სქესის მიხედვით

დიაგრამა 4



კვლევამ აჩვენა, რომ ჭარბი წონა შედარებით უფრო ხშირია ქალაქის პოპულაციაში, ვიდრე სოფლად და მაღალ მთაში. მოცემული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა ($X^2= 13.017$, თ.ხ.=6, $p=.043$).

5-6 წლის ასაკის ბავშვთა სიმაღლის დაჯგუფებული მონაცემები მოყვანილია ცხრილში 4. სიმაღლის დაჯგუფება მოხდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში რეკომენდებული მაჩვენებლების მიხედვით ($\pm 2 Z$ ქულა).

ცხრილი 4

სიმაღლე-ასაკის მიხედვით დაჯგუფებული მონაცემები		
სიმაღლე	სიხშირე	პროცენტი
< 100 სმ-ზე	116	11,9
101-126 სმ	718	73,9
> 127 სმ	137	14,1
სულ	971	100


როგორც ცხრილიდან ჩანს, ბავშვთა უმეტესობის (73.9%) სიმაღლე ნორმის შესაბამისია და მოთავსებულია $-2 Z$ და $+2 Z$ ქულის ფარგლებში. შემთხვევათა 11.9%-ში გვხვდება დაბალი სიმაღლე, როდესაც მისი მაჩვენებელი ნაკლებია $-2 Z$ ქულაზე, ხოლო 14.1%-ში კი, ნორმაზე მაღალია - მაჩვენებელი მეტია $+2 Z$ ქულაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ მშობელთა თითქმის ნახევარმა არ იცოდა ბავშვის ამჟამინდელი წონა და სიმაღლე და ვერ მიუთითა მოცემული მაჩვენებლები.

გოგონებისა და ვაჟების სიმაღლეს შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ჯგუფებს შორის არ ვლინდება.

მშობლების მიერ აღნიშნული ბავშვის ამჟამინდელი სიმაღლისა და წონის მიხედვით დაანგარიშდა სხეულის მასის ინდექსი (სმი), რომელიც დაჯგუფდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მონოდებული მოცემული ასაკის შესაბამისი სმი-ის Z ქულოვანი ცხრილების საფუძველზე. ბავშვთა გადანაწილება სმი-ს მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე 5.

ბავშვთა სმი-ს განაწილება Z ქულაზე ნორმების მიხედვით

დიაგრამა 5




ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, 2 წლის ასაკის შემდეგ უფრო პრიორიტეტულია სხეულის მასის ინდექსის შეფასება, ვიდრე წონა-ასაკის ან სიმაღლე-ასაკის შესაბამისობის დადგენა, ვინაიდან იგი შედარებით მაღალი სენსიტიურობით და სპეციფიკურობით გამოირჩევა წარბი წონის და სიმსუქნის გამოსავლენად. როგორც დიაგრამიდან ჩანს, დაბალი წონა (< -2Z ქულაზე) ვლინდება შემთხვევათა 16.1%-ში. თუ მოცემულ მონაცემს შევადარებთ მხოლოდ ასაკის მიხედვით აღებულ წონის მაჩვენებლებს, ვნახავთ, რომ მაჩვენებლები განსხვავებულია. წონის დეფიციტის სიხშირე ასაკთან მიმართებაში 2.4%-ია, მაგრამ წონის დეფიციტის მაჩვენებელი ბავშვის სიმაღლესთან და ასაკთან მიმართებაში (სმი) გაცილებით მაღალია. ბავშვთა უმეტესობის (40.6%) სმი ნორმის ფარგლებში, ანუ -2Z და +2Z ქულას შორის მერყეობს, შემთხვევათა 16.6%-ში ვლინდება წარბი წონა (სმი +1-დან + 2Z ქულამდე), 15.5 % -ში ვლინდება სიმსუქნე, ხოლო 11.2%-ში - მძიმე სიმსუქნე. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მაჩვენებლები მიღებულია მშობელთა ანკეტირების და არა ანთროპომეტრიული მონაცემების უშუალო შეფასების საფუძველზე, რაც არ გამორიცხავს გარკვეული უზუსტობების არსებობას. მიუხედავად ამისა, მოცემული სურათი საკმაოდ საყურადღებოა და მიუთითებს, რომ საქართველოში, ისე, როგორც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მეტად გაიზარდა სიმსუქნის სიხშირე. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 5 წლის ასაკის შემდეგ ბავშვთა მაღალი წონა ხშირ შემთხვევაში მოზარდობის და ზრდასრულობის პერიოდში წარბ წონასა და სიმსუქნესთან არის ასოცირებული. წარბი წონა ხელს უწყობს მრავალი დაავადების და, მათ შორის, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის ჩამოყალიბებას. აქედან გამომდინარე, მოცემული ასაკიდან მეტად მნიშვნელოვანია წარბი წონის პრობლემის მართვა და პრევენცია ფიზიკური აქტივობის გაზრდის და გარკვეული ჯგუფის საკვების (ტკბილეული, ცხიმი) რაოდენობის დარეგულირების გზით. ამავე დროს, მნიშვნელოვანია სასკოლო ასაკის ბავშვთა პოპულაციის შედარებით ღრმა ნუტრიციოლოგიური კვლევის წარმართვა, ფიზიკური განვითარების, დიეტოთერაპიის და ფიზიკურ აქტივობაზე დახარჯული დროის დეტალური შეფასება.

სტატისტიკურად სანდო კავშირის არსებობა არ დადასტურდა დაბადების წონასა და კვლევის მომენტში ბავშვის წონასა და სიმაღლეს შორის.

კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვთა 2.3% ავადმყოფობს ვირუსული ინფექციით წელიწადში 7-8-ჯერ, 19.9% - 3-5-ჯერ, 53,4% - 1-2-ჯერ, ხოლო 24.2% პრაქტიკულად ჯანმრთელია და იშვიათად ავადმყოფობს. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვთა პოპულაციაში გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ვირუსულ ინფექციათა სიხშირეს შორის, რომელიც გაცილებით მეტია ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს შორის, ვიდრე სოფელსა და მათში მცხოვრებ ბავშვთა პოპულაციაში ($\chi^2=33.895$, თ.ბ.=6, $p=.000$). ქალაქის, მთისა და სოფლის პოპულაციაში ვირუსულ ინფექციათა სიხშირის განაწილება მოცემულია დიაგრამაზე 6.

დიაგრამა 6

ვირუსულ ინფექციათა სიხშირე ქალაქის, სოფლის და მთის 5-6 წლის ბავშვთა პოპულაციაში



ანალოგიური მაჩვენებლები დაფიქსირდა ორგანიზებულ (ბალში მოსიარულე) და არაორგანიზებულ ბავშვთა შორის. ორგანიზებული ბავშვები გაცილებით ხშირად ავადმყოფობენ, ვიდრე არაორგანიზებული ბავშვები, მოცემული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა ($X^2=14.985$, თ.ხ.=3, $p=.002$). ვირუსულ ინფექციათა სიხშირე შედარებით მეტია ვაჟებში, ვიდრე გოგონებში. აღნიშნული განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა ($X^2=7.638$, $p=.054$). არ გამოვლინდა განსხვავება 5 და 6 წლის ასაკობრივ ჯგუფში ვირუსული ინფექციების სიხშირეს შორის.

გამოვლინდა ვირუსული ინფექციებით ავადმყოფობის სიხშირესა და ნატიფი და უხეში მოტორიკის კითხვებს შორის სტატისტიკურად სანდო კორელაციები. რაც უფრო ხშირია ვირუსული ინფექციით ავადობა, მით უფრო ნაკლებად იცავს ბავშვი კოორდინაციასა და წონასწორობას. დადგინდა უარყოფითი სანდო კავშირი ვირუსული ინფექციების სიხშირესა და ადამიანის დახატვის ტესტს, ასანყოფი სათამაშოს აწყობის ტესტსა და ლაბირინთის გავლის ტესტს შორის (შესაბამისად, $r=-0.073$, $p=.007$; $r=-0.089$, $p=.001$; $r=-0.065$, $p=0.017$; $r=-0.086$, $p=.007$).


ასაკის შესაბამისი ვაქცინაცია სრულად აქვს ჩატარებული გამოკითხულთა 95.1%-ს, ბავშვთა 4.03%-ს არ აქვს სრულად ჩატარებული ვაქცინაცია, ხოლო მშობელთა 0.87% ვერ ასახელებს პასუხს მოცემულ კითხვაზე. არ არის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება ვაქცინაციის მაჩვენებლებს შორის ქალაქსა და სოფელში.

მშობლების გადმოცემით, სკოლაში მიყვანამდე ბავშვთა 72.3%-ს ჩატარებული აქვს მხედველობის სკრინინგი, 24.9%-ის შემთხვევაში მხედველობის შემოწმება არ არის ჩატარებული, 2.6% ვერ პასუხობს მოცემულ კითხვას. დადგინდა, რომ ქალაქში გაცილებით ხშირად ტარდება მხედველობის სკრინინგი, ვიდრე სოფლად ან მთაში ($X^2=13.017$, თ.ხ.=3, $p=.043$). ჩატარებული სკრინინგის შედეგად, მხედველობის პრობლემა გამოვლენილია 90 შემთხვევაში, რაც შეადგენს 6,3%-ს.

მშობელთა გადმოცემით, ფეხსაცმლის თასმას სრულიად დამოუკიდებლად იკრავს 59.9%, ბავშვთა 22.3%-ს ესაჭიროება მშობლის ინსტრუქცია და მითითებები, ხოლო 20.6%-ს კი - მშობლის დახმარება. ბავშვთა 82.5%-ს თავად შეუძლია ჩაიცვას ტანსაცმელი, 2.6% იცვამს მხოლოდ ნაწილობრივ, ხოლო 14.8%-ს ესაჭიროება უფროსის დახმარება და მოცემულ მოქმედებას ვერ ასრულებს დამოუკიდებლად. ბავშვთა 58.2% თმას დამოუკიდებლად ივარცხნის, 25.1% - უფროსის დახმარებით, 12.7%-ს კი ვარცხნის უფროსი. გამოვლინდა სარწმუნო სტატისტიკური განსხვავება 5 და 6 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფეხსაცმლის თასმის შეკვრის და დამოუკიდებლად ჩაცმის უნარების შესრულებას შორის. 6 წლის ასაკის ბავშვები გაცილებით უკეთ ახორციელებენ აღნიშნულ ნატიფ მოტორულ მოქმედებებს (შესაბამისად, $X^2=8.473$, თ.ხ.=2, $p=.014$; $X^2=6.542$, თ.ხ.=2, $p=.014$) (იხ. დიაგრამა 7)

დიაგრამა 7

ნატიფი მოტორული უნარები (ფეხსაცმლის თასმის შეკვრა და ტანსაცმლის ჩაცმა) ასაკობრივ ჯგუფში




მოცემული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბავშვი, ხშირ შემთხვევაში, ვერ ახერხებს დამოუკიდებლად განახორციელოს აღნიშნული მოქმედებები, რაც, შესაძლებელია, განპირობებული იყოს ამ მიმართებით დასწავლის არარსებობით. მოცემული უნარების ხელშეწყობა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ერთი მხრივ, ვითარდება ნატიფი მოტორიკა, რომელიც უადვილებს ბავშვს სასკოლო უნარების (ხატვა, წერა და სხვა) ათვისებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხდება დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება, რაც ესმარება ბავშვს მაღალი თვითშეფასების და თვითრწმენის ჩამოყალიბებაში.

აღნიშნულს ადასტურებს ჩვენი კვლევით გამოვლენილი კორელაციური კავშირი მშობლის კითხვარის მე-10 კითხვასა (ფეხსაცმლის თასმის შეკვრა) და ბავშვის ნატიფი უნარის შესაფასებელ 8.1 დავალებას (ასობის გადმოხატვა) შორის. მოცემული კორელაცია დადებითი და სტატისტიკურად სანდოა ($r=0.098$; $p=.000$). აღნიშნული კავშირი ადასტურებს, რომ ნატიფი მოტორიკის სხვადასხვა უნარის ხელშეწყობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წერის უნარის ჩამოყალიბებასა და დაუფლებაზე.

ბავშვთა უმეტესობას, 78.5%-ს, მოსწონს და ერთვება აქტიურ თამაშებში, 17.1% თამაშის დროს ვერ იცავს წესებს, 1.8% ირჩევს სხვების თამაშის ყურებას და თავად არ ერთვება თამაშში, ხოლო 2.5% უპირატესობას მარტო თამაშს ანიჭებს. ბავშვთა 20.4% ყოველდღიურად ნაკლებად აქტიურია. აქტიური თამაშის, ცეკვის ან ვარჯიშის ხანგრძლივობა მერყეობს 10 წთ-დან 2 სთ-მდე. ფიზიკურ აქტივობასა და აქტიურ თამაშებზე დახარჯული დრო წარმოდგენილია დიაგრამაზე 8.

ფიზიკურ აქტივობაზე დღიურად დახარჯული დროის პროცენტული განაწილება ბავშვებში




როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბავშვთა უმეტესობა (31%) აქტიურ თამაშებს და ფიზიკურ აქტივობას დღიურად უთმობს 30-60 წთ-ს. ბავშვთა საკმაოდ დიდი ნაწილი (24%) მხოლოდ 20 წთ. თამაშობს აქტიურ თამაშებს, 23% - 20-30 წთ, რაც მოცემულ ასაკობრივ ნორმაზე ნაკლებია. გამოკითხულ ბავშვთა 31,3% დადის ცეკვაზე ან სპორტზე. ქალაქში მცხოვრები ბავშვები გაცილებით უფრო ხშირად დადიან ცეკვაზე ან სპორტზე, ვიდრე სოფლად და მთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვები ($X^2=25.759$; $p=.000$). დადგენილია, რომ მოცემულ ასაკში ფიზიკური აქტივობის და აქტიური თამაშებისთვის რეკომენდირებული დრო 1-2 სთ-ია. აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, ბავშვთა დიდი ნაწილი ნაკლებად არის ჩართული ფიზიკურ აქტივობაში, ან ჩართულია მეტად მცირე დროის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ჰიპოდინამია ითვლება ჭარბი წონის განვითარების ერთ-ერთ ძირითად რისკ-ფაქტორად. თუმცა, ჩვენი კვლევის შედეგებით არ გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება და კორელაცია ბავშვის აქტივობას (მშობლის კითხვარი 13) და ბავშვის ამჟამინდელი წონის მონაცემთა შორის ($r=1.994$; $p=.920$).

მშობელთა გადმოცემით, ბავშვთა უმეტესობა (98%) იცავს ჰიგიენის წესებს, თავად იბანს ხელს, ირჩევს ამინდის შესაბამის ტანსაცმელს (84.5%). არ გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი მოცემულ მოქმედებასა და ბავშვის სქესს და ასაკს შორის.

მშობელთა გადმოცემით, ბავშვთა 34.9%-მა იცის და იცავს უსაფრთხოების წესებს, სწორად განსაზღვრავს, თუ როდის უნდა გამოიყენოს მოცემული წესები, 54.9%-მა იცის უსაფრთხოების წესები, მაგრამ მუდმივად საჭიროებს შეხსენებას მათ დასაცავად, ხოლო 10%-ის შემთხვევაში, ბავშვებმა არ იციან უსაფრთხოების წესები. მშობელთა გადმოცემით, ბავშვთა 58.1% იშვიათად, ხოლო 1.3% ხშირად სათამაშოდ იყენებს საფრთხის შემცველ საგნებს (ასანთს, სანთებელას, დანას, მედიკამენტებს და სხვა). გამოვლინდა დადებითი, სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია მშობლის კითხვარის მე-19 კითხვასა (თუ იცის ბავშვმა უსაფრთხოების წესები) და ბავშვზე დაკვირვების ფორმის ჯანმრთელობის ნაწილის მე-10 კითხვას შორის, რომელიც უსაფრთხოებას ეხება ($r=.904$, $p=.000$).

გამოვლინდა, რომ ბავშვთა 68.5%-ს შეუძლია, წონასწორობის დაკარგვის გარეშე, ცალ ფეხზე დგომა 20 წმ-ზე მეტი დროით, ხოლო 31.4% ვერ დგება ცალ ფეხზე ან დგას მხოლოდ რამდენიმე წამს. ბავშვთა 41.9% ახერხებს სწორ ხაზზე 10-15 ნაბიჯის გადადგმას ხელით წონასწორობის შენარჩუნების გარეშე, 41.7% წონასწორობას ინარჩუნებს ხელებით, ხოლო 16.7% ვერ ახერხებს სწორ ხაზზე გავლის დროს წონასწორობის შენარჩუნებას და ხშირად უშვებს შეცდომებს. უხეში მოტორიკის დავალებების შესრულებას შორის განსხვავება სოფლის და ქალაქის ბავშვთა პოპულაციაში სტატისტიკურად არ არის სარწმუნო ($X^2=2.098$ $p=.148$). არ დადასტურდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება უხეში მოტორიკის დავალებების შესრულებას შორის ბავშვის სქესისა და ასაკის მიხედვით, ასევე არ არის სტატისტიკურად სანდო განსხვავება ორგანიზებულ და არაორგანიზებულ ბავშვთა შორის.

სივრცეში ბავშვთა ორიენტაციის დასადგენად გამოყენებული იყო ქალაქის ფურცელი, რომელზეც ეხატა 5 ცხოველი კიდეებსა და შუაგულში. ბავშვს სწორად უნდა მიეთითებინა ცხოველი, რომლის მდებარეობასაც აღუწერდა მკვლევარი (მაგ., რა ხატია ზედა მარჯვენა კუთხეში). ბავშვთა 35.7% კარგად ორიენტირებს სივრცეში, იცის მიმართებების (ზედა, ქვედა, მარჯვენა, მარცხენა, შუა) გარჩევა და სწორად უთითებს ყველა კითხვაზე, 50.1% მოცემული დავალების შესრულებისას უშვებს შეცდომებს, ხშირ შემთხვევაში არ იცის ყველა მიმართება და დავალებას ასრულებს მხოლოდ ნაწილობრივ, 13.7% ერთ მიმართებასაც კი ვერ პასუხობს სწორად და საერთოდ ვერ ასრულებს დავალებას. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია მოცემული საკითხებისადმი ყურადღების გამახვილება სკოლამდელი განათლების პროგრამასა და ოჯახში. დადგინდა სტატისტიკურად სანდო დადებითი კორელაციური კავშირი მოცემულ კითხვასა და ბალში სიარულს შორის ($X^2= 23.799$ $p=,000$). ბავშვები, რომლებიც დადიოდნენ ბალში, უკეთ ასრულებენ დავალებას (იხ. დიაგრამა 9). არ გამოვლინდა მოცემული უნარის კავშირი ბავშვის ასაკსა და სქესთან.



ნატიფი მოტორიკის შეფასებისას გამოვლინდა, რომ ბავშვთა 52.9% ნერტილებით წარმოდგენილ ნახატს აღიქვამს და სწორად აერთებს ნერტილებს ხაზებით, რათა მიიღოს ნახატი, მოცემული დავალების შესრულების დროს არ უშვებს შეცდომებს. დარჩენილი 47.1 % ნერტილების შეერთებისას უშვებს შეცდომებს. 6 წლის ასაკის ბავშვები შედარებით უკეთ ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე 5 წლის ასაკის ბავშვები ($X^2=3.978, p=.046$)

მსგავსების შეფასებისას და მსგავსი საგნების წყვილებად დაჯგუფების დავალების შესრულებისას, ბავშვთა 54,1% სწორად პოულობს ყველა ერთნაირ საგანს და აჯგუფებს მათ უშეცდომოდ, 33.6% მხოლოდ 1 საგანს უძებნის შესაბამისს და მსვლელობაში უშვებს მრავალ შეცდომას, ხოლო 12.2 % საერთოდ ვერ პოულობს მსგავსებას. გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კავშირი მოცემულ დავალებასა და ასაკობრივ ჯგუფს შორის, აგრეთვე, მოცემულ დავალებასა და ბაღში სიარულს შორის (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5

მსგავსი საგნების დაჯგუფება ასაკსა და ბაღში სიარულთან მიმართებაში				
	5 წლის	6 წლის	არაორგანიზებული	ორგანიზებული
პოულობს და სწორად აჯგუფებს ყველა საგანს	50.5%	56.8%	46.1%	57.8%
უძებნის მსგავსს მხოლოდ 1 საგანს შეცდომებით	31.2%	33.6%	37.6%	32.8%
	განსხვავება სანდოა $X^2=9.336$ თ.ხ=2 $p=.009$		განსხვავება სანდოა $X^2=16.986$ თ.ხ=2 $p=.000$	

ადამიანის დახატვის ტესტის შესრულებისას, ბავშვთა მხოლოდ 33.5% ხატავს ყველა ძირითად დეტალს, მინიმუმ მეორეხარისხოვან დეტალს ხატავს 51%, დამატებით დეტალებს (ღილები, ტანსაცმელი) კი ხატავს - 66%. ამრიგად, დამატებით დეტალებს ყურადღებას აქცევს და ხატავს მეტი ბავშვი, მაშინ როდესაც ნახატს არ აქვს ყველა ძირითადი დეტალი (კიდურები, სხეული, სახე, ცხვირი, თვალები და სხვა). ნახატის პროპორცია 66.7%-ის შემთხვევაში სწორად არის დაცული. ნახატის შესრულებისას დეტალებს ერთმანეთს სწორად უკავშირებს ბავშვთა 45.8%, დანარჩენ შემთხვევაში დეტალები არ არის, ან შეცდომით არის დაკავშირებული. ნახატი შემთხვევათა მხოლოდ 34.1%-ში აღიქმება, როგორც ადამიანის ფიგურა, სხვა შემთხვევაში ნახატი არ ჰგავს ადამიანს. მოცემული ასაკის ბავშვის მიერ ადამიანის ფიგურის დახატვის ტესტი ბავშვის ნატიფი მოტორიკის განვითარების, აღქმის უნარის შესაფასებელ ცალკე ტესტს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ქულებით ფასდება, რამდენად შეესაბამება მოცემული უნარები ბავშვის ასაკს. გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კავშირი მოცემულ კითხვასა და ბავშვის ბაღში სიარულს შორის ($X^2=17.404, p=.008$). ადამიანის დახატვის ტესტის ერთ-ერთი კომპონენტის შესრულების (პროცენტული განაწილება) დამოკიდებულება ასაკთან და საცხოვრებელ ადგილთან მოცემულია ცხრილში 6.

ცხრილი 6

ადამიანის დახატვის ტესტის კავშირი ასაკთან და საცხოვრებელ ადგილთან					
	ასაკი (წლებში)		საცხოვრებელი ადგილი		
	5	6	ქალაქი	სოფელი	მთა
ნახატი აღიქმება, როგორც ადამიანი	60.2%	68.7%	73.4%	55.6%	62.9%
ნახატი არ აღიქმება, როგორც ადამიანი	39.8 %	31.3%	26.6%	44.4%	37.1%
	განსხვავება სანდოა $X^2=10.242$ თ.ხ=1, $p= .001$		განსხვავება სანდოა $X^2=45.159$ თ.ხ=2, $p= .000$		

სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებაა დედის განათლების დონესა და ბავშვის მიერ მოცემული დავალების შესრულებას შორის ($X^2=59.387$, $p=.000$). რაც მეტია დედის განათლება, მით უკეთ ასრულებს ბავშვი მოცემულ დავალებას. ასევე, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებაა გოგონებსა და ვაჟებს შორის: გოგონები უკეთ ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე ვაჟები ($X^2 = 65.369$, $p=.000$).


ნახატზე არსებული ლაბირინთის გავლას 20-30 წმ-ში ახერხებს ბავშვთა 30.4%; ბავშვთა 28.7% მოცემულ დავალებას ასრულებს 30-60 წმ-ში, 23% პროცენტი – 60-90 წმ-ში, ხოლო 17.1% ვერ ასრულებს დავალებას 90 წმ-შიც. მოცემულ დავალებას უშეცდომოდ ასრულებს 35.6%, 26.8% უშვებს ერთ, ხოლო 37.4% კი ორზე მეტ შეცდომას. მოცემული მონაცემების განაწილება ასაკთან, სქესთან და ბაღში სიარულთან კავშირში მოცემულია ცხრილში 7.

ცხრილი 7

ლაბირინთის გავლის ტესტის კავშირი ასაკთან, სქესთან და ბაღში სიარულთან						
	ასაკი		სქესი		ბაღში სიარული	
	5 წლის	6 წლის	ვაჟები	გოგონები	არაორგანიზებული	ორგანიზებული
ლაბირინთის გავლა 60-90წმ-ში	8.1%	15.7%	23.4%	24.3 %	6.9%	16.8%
ლაბირინთის გავლა 30-60წმ-ში	8.8%	19.8%	26.3 %	31.2%	7.3%	21.4%
ლაბირინთის გავლა 20-30წმ-ში	7.9%	22.4%	28.5%	33.4 %	7.9%	22.5%
	განსხვავება სანდოა $X^2=19.716$ თ.ხ=3 $p= .000$		განსხვავება სანდოა $X^2=17.015$ თ.ხ=3 $p= .001$		განსხვავება სანდოა $X^2=9.094$ თ.ხ=3 $p=.028$	

აღნიშნული დავალება სტატისტიკურად სანდო დადებით კორელაციაშია დედისა და მამის განათლების დონესთან ($X^2= 65.402$, $p=.000$).

ბავშვის მიერ ნიმუშის მიხედვით სიტყვების გადმოხატვის დავალების შესრულების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე 10.



- ნიმუშის სრულად გადმოხატვა, სიტყვები გამოყოფილია, ზომა დაცული
- სიტყვები გამოყოფილია, ასოები გაზრდილი
- სიტყვები გამოყოფილია, ზომები შემცირებული
- სიტყვები არ არის გამოყოფილი, ასოები ძელი გასარჩევია
- გაუგებარი ნაჯღაბნი

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ნიმუშის მიხედვით ორი სიტყვის გადახატვას ისე, რომ ტექსტი შედგებოდეს 2 ნაწილისგან, სიტყვები ერთმანეთისგან გამოყოფილი იყოს ინტერვალით და ასოების ზომა შეესაბამებოდეს ნიმუშს, ახერხებს ბავშვთა მხოლოდ 16,1%; შემთხვევათა 31,8%-ში სიტყვები არ არის გამოყოფილი და ძელია ასოების ამოცნობა, შესაძლებელია მხოლოდ 1-2 ასოს შეცნობა, ხოლო 27,3%-ში ბავშვის ნამუშევარი საერთოდ არ ჰგავს ნაწერს და გაუგებარ ნაჯღაბნს წარმოადგენს. ტექსტის გადახატვისას ნიმუში ემთხვევა და მიჰყვება ჰორიზონტალურ ხაზს შემთხვევათა 32,8%-ში, დანარჩენ შემთხვევაში ნაწერი დახრილია და არ ემთხვევა ჰორიზონტალურ ხაზს.

უნდა აღინიშნოს, რომ ნატიფი მოტორიკის აღნიშნული დავალება ჩვენს კვლევაში გამარტივებული სახით იყო წარმოდგენილი. ყველაზე ხშირად ამ მიზნით მოცემულ ასაკში იყენებენ 3 სიტყვისგან შემდგარი წინადადების გადმოხატვას. ჩვენს შემთხვევაში გამოყენებული დავალება შედგებოდა მხოლოდ 2 მარტივი სიტყვისგან „ეს ხეა“, რაც მოცემული დავალების საკმაოდ გამარტივებულ ვარიანტს წარმოადგენს. მიუხედავად აღნიშნულისა, მიღებული შედეგები საკმაოდ დაბალია.

მოცემული დავალების წარმატებით შესრულების კავშირი ბავშვის სქესთან, ასაკთან საცხოვრებელ ადგილსა და ბაღში სიარულთან მიმართებაში მოცემულია ცხრილში 8.

ცხრილი 8


ასობის გადმოხატვის დავალების შესრულების კავშირი ასაკთან, სქესთან, ბაღში სიარულთან და საცხოვრებელ ადგილთან									
	ასაკი (წლები)		სქესი		ბაღში სიარული		საცხოვრებელი ადგილი		
	5	6	მამრ.	მდედრ.	არაორგ.	ორგან.	ქალაქი	სოფელი	მთა
სიტყვები გამოყოფილია; ასოების ზომა გაზრდილია	18.6%	20.2%	21.6%	14.7%	19.4%	19.6%	23.1%	15.5%	5.5%
სიტყვები გამოყოფილია; ასოების ზომა შემცირებულია	3.0%	5.9%	5.6%	3.2%	6.1%	3.8%	5.7%	3.8%	4.7%
სიტყვები გამოყოფილია; ასოების ზომა შეესაბამება ნიმუშს	11.8%	18.1%	16.5%	13.2%	19.5%	12.6%	18.4%	13.2%	5.5%
	განსხვავება სანდოა $\chi^2=24.714$ თ.ბ=5 $p= .000$		განსხვავება სანდოა $\chi^2=22.808$ თ.ბ=5, $p= .001$		განსხვავება სანდოა $\chi^2=23.055$ თ.ბ=5, $p= .000$		განსხვავება სანდოა $\chi^2=80.599$ თ.ბ=10, $p= .000$		

ასევე სტატისტიკურად სანდო განსხვავებაა მოცემული დავალების შესრულებასა და ოჯახის სოციალურ სტატუსს შორის. ბავშვები, რომლებიც იზრდებიან ორივე მშობელთან, უკეთ ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე ბავშვები, რომლებიც იზრდებიან ერთ მშობელთან ან ბებია-ბაბუსთან მშობლების გარეშე ($X^2=16.295, p=.091$). ბავშვები, რომელთა მშობლებს აქვთ სტაბილური მაღალი შემოსავალი, აგრეთვე უკეთ იხატავენ ასოებს. აღნიშნული კორელაცია სტატისტიკურად სარწმუნოა ($X^2=73.127, p=.001$). არ ვლინდება მოცემული დავალების კავშირი მშობლების ასაკთან, თუმცა, არსებობს მჭიდრო დადებითი კორელაცია მშობლების განათლებასა და ბავშვის მოცემულ უნარ-ჩვევას შორის ($X^2=51.612, p=.000$).

ასაწყობი სათამაშოს (puzzle) აწყობას ბავშვთა 25.1% ახერხებს პირველ 60 წმ-ში, 33.9% მოცემული დავალების შესრულებას 60-დან 90 წმ-მდე უნდება, ხოლო 40.8% საერთოდ ვერ აწყობს ან ანდომებს 90-წმ-ზე მეტ დროს. არ არის სტატისტიკურად სანდო განსხვავება ვაჟებსა და გოგონებს შორის. მოცემული დავალების შესრულება ასაკთან კავშირში მოცემულია დიაგრამაზე 11. 6 წლის ბავშვები უკეთ ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე 5 წლის ასაკის ბავშვები ($X^2=24.714, p=.000$). დადებითი, სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია ვლინდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე ოჯახის სტატუსს, ოჯახის შემოსავალსა და მოცემული დავალების შესრულებას შორის (შესაბამისად, $X^2=11.873, p=.065$; $X^2=77.050, p=.000$).

დიაგრამა 11


ასაწყობი სათამაშოს აწყობა ასაკის მიხედვით



გადასასვლელზე გადასვლის დროს როგორ უნდა მოიქცეს შუენიშნის მწვანე ან წითელი ფერის ანთებისას, სწორად პასუხობს ბავშვთა მხოლოდ 30.6%. დანარჩენ შემთხვევაში ბავშვმა არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს და როდის გადავიდეს ქუჩაზე. გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი სოფლის და ქალაქის ბავშვთა პოპულაციას შორის. არ დაფიქსირდა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება მოცემული დავალების შესრულებასა და ბავშვის ასაკსა და სქესს შორის. ქალაქში მცხოვრებმა ბავშვებმა უკეთ იციან გადასასვლელზე გადასვლის წესები, ვიდრე სოფელში/მთაში მცხოვრებლებმა ($X^2 = 70.329, p = .000$) (იხ დიაგრამა 12).

დიაგრამა 12

გადასასვლელზე უსაფრთხოდ გადასვლის წესების ცოდნა ქალაქისა და სოფლად მცხოვრებ ბავშვთა პოპულაციაში



	ადამიანის დახატვის ტესტი	ასობის დამარცვლის ტესტი	ასობით სიტყვის შედგენა
ნატიფი მოტორიკა - ადამიანის დახატვის ტესტი	-		
მეტყველება - სიტყვაში ასობის დამარცვლის ტესტი	.230**	-	
მეტყველება - ასობით სიტყვის შედგენა	.234**	.702**	-

** $p \leq .01$; * $p \leq .05$

სტატისტიკურად სანდო განსხვავება დადასტურდა ნატიფი მოტორიკის ასობის გადმოხატვის დავალებასა და მეტყველების ნაწილის მეოთხე დავალებას შორის, რომელიც მოიცავდა სიტყვებისგან წინადადების შედგენას (იხ. ცხრილი 9). ბავშვები, რომლებიც უკეთ იხატავენ ასობს, უკეთ ადგენენ წინადადებებს ($X^2=117.225$; $p=.000$). ნატიფი მოტორიკის მე-5 დავალებასა (მსგავსების აღმოჩენა და საგნების დაწყვილება მსგავსების მიხედვით) და შემეცნების მე-16 დავალებას (წელიწადის დროების დასახელება) შორის ასევე დადასტურდა დადებითი, სტატისტიკურად სანდო კორელაცია ($r=0.307$; $p=.000$)

დასკვნები

1. პირველკლასელთა 68.5%-ს შეუძლია, წონასწორობის დაკარგვის გარეშე, ცალ ფეხზე დგომა 20 წმ-ზე მეტი დროის განმავლობაში, ბავშვთა 41.9% ახერხებს სწორ ხაზზე 10-15 ნაბიჯის გადადგმას ხელით წონასწორობის შენარჩუნების გარეშე.
2. პირველკლასელ ბავშვთა 35.7% კარგად ორიენტირებს სივრცეში, იცის მიმართებების (ზედა, ქვედა, მარჯვენა, მარცხენა, შუა) გარჩევა და სწორად უთითებს ყველა მათგანს. ბავშვები, რომლებიც დადიოდნენ ბაღში, უკეთ ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე ისინი, რომლებიც არ დადიოდნენ ბაღში.
3. ბავშვთა 52.9% სწორად აღიქვამს წერტილებით წარმოდგენილ ნახატს და აერთებს ხაზებით. 6 წლის ასაკის ბავშვები უკეთ ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე 5 წლის ასაკის ბავშვები.
4. მსგავსების შეფასებას და მსგავსი საგნების წყვილებად დაჯგუფებას უშეცდომოდ ახერხებს ბავშვთა 54.1%, პირველკლასელთა 33.6% მხოლოდ 1 საგანს უძებნის შესაბამისს და მსვლელობაში უშვებს მრავალ შეცდომას. გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კავშირი მოცემულ დავალებასა და ასაკობრივ ჯგუფს შორის, აგრეთვე მოცემულ დავალებასა და ბაღში სიარულს შორის.
5. პირველკლასელთა 33.5% ადამიანის დახატვისას ხატავს ყველა ძირითად დეტალს, მინიმუმ 2 მეორეხარისხოვან დეტალს ხატავს 51%, დამატებით დეტალებს ხატავს 66%. პირველკლასელთა ნახატი შემთხვევათა მხოლოდ 34.1%-ში აღიქმება, როგორც ადამიანის ფიგურა, სხვა შემთხვევაში ნახატი არ ჰგავს ადამიანს. ორგანიზებული ბავშვები უკეთ ხატავენ, ვიდრე არაორგანიზებულები; გოგონები უკეთ ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე ვაჟები; 6 წლის ასაკის ბავშვები უკეთ, ვიდრე 5 წლის ბავშვები; ქალაქის მაცხოვრებლები უკეთ, ვიდრე სოფელში მცხოვრები ბავშვები; რაც მეტია დედის განათლება, მით უკეთ ასრულებს ბავშვი მოცემულ დავალებას.
6. ნახატზე არსებული ლაბირინთის გავლას 20-30 წმ-ში ახერხებს ბავშვთა 30.4%; ბავშვთა 28.7% მოცემულ დავალებას ასრულებს 30-60 წმ-ში, 23% პროცენტი – 60-90 წმ-ში, ხოლო 17.1% ვერ ასრულებს დავალებას 90 წმ-შიც. გოგონები უფრო სწრაფად ასრულებენ მოცემულ დავალებას, ვიდრე ვაჟები, 6 წლის ასაკის ბავშვები უკეთ, ვიდრე 5 წლის ასაკისანი. სტატისტიკურად სანდო კავშირია დავალების შესრულებასა და ბაღში სიარულს და მშობლების განათლების დონეს შორის.
7. ორი მარტივი სიტყვის გადმოხატვას მათი ზომის ცვლილების გარეშე და სიტყვების ერთმანეთისგან გამოყოფით ახერხებს ბავშვთა მხოლოდ 16.1%; 19.6%-ის შემთხვევაში სიტყვები

გამოყოფილია ერთმანეთისგან, თუმცა, ასობის ზომა გაზრდილია, ხოლო 5% შემთხვევაში კი - შემცირებული. შემთხვევათა 31.8%-ში სიტყვები არ არის გაყოფილი და ძნელია ასობის ამოცნობა, შესაძლებელია მხოლოდ 1-2 ასოს შეცნობა, ხოლო 27.3%-ში ბავშვის ნამუშევარი საერთოდ არ ჰგავს ნაწერს და გაუგებარ ნაჯღაბნს წარმოადგენს. ორგანიზებული ბავშვები უკეთ ართმევენ თავს მოცემულ დავალებას, ვიდრე არაორგანიზებულები. დადებითი, სანდო კორელაციური კავშირი ფიქსირდება მოცემული დავალების შესრულებასა და ბავშვის ასაკს, ქალაქსა და სოფელში მცხოვრებ ბავშვთა პოპულაციას, ოჯახის სოციალურ სტატუსს, ოჯახის შემოსავალს, მშობლების განათლებას შორის.

8. პირველკლასელთა 25,1% ასაწყობ სათამაშოს (puzzle) აწყობს პირველ 60 წმ-ში, 33.9% მოცემული დავალების შესრულებას 60-დან 90 წმ-მდე უნდება, ხოლო 40.8% საერთოდ ვერ აწყობს, ან უნდება 90-წმ-ზე მეტ დროს. სტატისტიკურად სარწმუნო კორელაცია ვლინდება ბავშვის ასაკს, ოჯახის სტატუსს, ოჯახის შემოსავალსა და მოცემული დავალების შესრულებას შორის.
9. პირველკლასელთა მხოლოდ 30.6% პასუხობს სწორად, თუ როგორ უნდა მოიქცეს გადასასვლელზე გადასვლის დროს შუქნიშნის მწვანე ფერის ან წითელი ფერის ანთებისას. გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი სოფლისა და ქალაქის ბავშვთა პოპულაციას შორის.
10. გამოვლინდა დადებითი კორელაცია ნატიფი მოტორიკის მე-6 კითხვასა (ადამიანის დახატვის ტესტი) და მეტყველების ნაწილის მე-7 და მე-9 (შეჯამებულ) კითხვებს შორის, რომლებიც სიტყვის ასობად დაშლას და ასობისგან სიტყვის აწყობას მოიცავს. კორელაციები დადებითია და სტატისტიკურად სანდო.
11. უხეში მოტორიკის სფეროში არ ვლინდება სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა 5 და 6 წლის ასაკის ბავშვთა შორის, ნატიფი მოტორიკის ძირითადი დავალებების მიხედვით, რომლებიც საჭიროებენ თვალისა და ხელის კოორდინაციას, გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი ასაკთან მიმართებაში. 6 წლის ასაკის ბავშვები უკეთ ახერხებენ ნატიფი მოტორიკის დავალებების შესრულებას, ვიდრე 5 წლის ასაკის ბავშვები.
12. ბავშვთა 93.6% დაიბადა დროულად, დღენაკლულობა აღინიშნა 4.2%, ხოლო ვადაგადაცილება 2.2% შემთხვევაში. მცირე წონით დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 6.1%-ს. მათ შორის, დაბადების მცირე წონა აღინიშნა 5.9% შემთხვევაში, ხოლო დაბადების ძლიერ მცირე წონა 0.2 %-შემთხვევაში. მრავალი კვლევით დადგენილია დღენაკლულობის და დაბადების ძლიერ მცირე წონის ზეგავლენა ბავშვთა განვითარებაზე. ჩვენი კვლევის შედეგები არ იძლევა მოცემული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, რაც, შესაძლებელია, განპირობებული იყოს საკვლევ კონტინგენტში დღენაკლული და ძლიერ მცირე წონის ახალშობილთა სიმცირით.
13. ქრონიკული დაავადებების არსებობა გამოვლინდა 4.1%-ის შემთხვევაში, ავადობის სტრუქტურაში წამყვანია ალერგიულ პათოლოგიათა ხვედრითი წილი (ასთმა, ატოპური დერმატიტი, ალერგიული რინიტი).
14. ბავშვთა უმეტესობას (85.4%) აქვს ასაკის შესაბამისი წონა, 2,4%-ში გამოხატულია წონის დეფიციტი, შედარებით ხშირია ჭარბი წონის (10.7%) და სიმსუქნის (1.5%) შემთხვევები. ჭარბი წონა შედარებით უფრო ხშირია ქალაქის პოპულაციაში, ვიდრე სოფლად და მაღალ მთაში. პირველკლასელთა უმეტესობის (73.9%) სიმაღლე ნორმის შესაბამისია, შემთხვევათა 11.9%-ში გვხვდება დაბალი, ხოლო 14.1%-ში კი ნორმაზე მაღალი მაჩვენებლები.
15. პირველკლასელთა სხეულის მასის ინდექსის მიხედვით, ბავშვთა 40.6%-ის წონა ასაკისა და სიმაღლის შესაბამისია, 16.1%-ში ვლინდება წონის დეფიციტი, 16.6%-ში - ჭარბი წონა, 15.5% -ში — სიმსუქნე, ხოლო 11.2%-ში — მძიმე სიმსუქნე, რაც გვიჩვენებს, რომ საქართველოში, ისე როგორც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, მეტად გაიზარდა სიმსუქნის სიხშირე.
16. ვირუსული ინფექციებით ნელინადში 7-8 -ჯერ ავადმყოფობს ბავშვთა 2.3%, 3-5-ჯერ -19.9 %, 1-2-ჯერ - 53.4%, ხოლო 24.2%, პრაქტიკულად, არ ავადმყოფობს. ვირუსულ ინფექციათა სიხშირე გაცილებით მეტია ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს შორის, ვიდრე სოფელში და მთაში მცხოვრებ ბავშვთა პოპულაციაში. ვირუსულ ინფექციათა სიხშირე აგრეთვე მჭიდრო კავშირშია ბაღში სიარულთან, სქესთან და ოჯახის შემადგენლობასთან.
17. ასაკის შესაბამისი ვაკცინაცია სრულად აქვს ჩატარებული ბავშვთა 95.1%.
18. მშობლების გადმოცემით სკოლაში მიყვანამდე ბავშვთა 72.3%-ს ჩატარებული აქვს მხედველობის სკრინინგი, 24.9% შემთხვევაში მხედველობის შემოწმება არ არის ჩატარებული. ქალაქში გაცილებით ხშირად ტარდება მხედველობის სკრინინგი, ვიდრე სოფლად ან მთაში. ჩატარებული სკრინინგის შედეგად მხედველობის პრობლემა გამოვლენილია 6.3%-ში.

19. მშობელთა გადმოცემით, ფეხსაცმლის თასმას სრულიად დამოუკიდებლად იკრავს 59.9%, ბავშვთა 22.3%-ს ესაჭიროება მშობლის ინსტრუქცია და მითითებები, ხოლო 20,6%-ს კი მშობლის დახმარება. ბავშვთა 82.5%-ს თავად შეუძლია ჩაიცვას ტანსაცმელი, 58.2% ივარცხნის თმას დამოუკიდებლად, 25.1% - უფროსის დახმარებით, 12.7%-ს კი ვარცხნის უფროსი. გამოვლინდა კორელაციური კავშირი მოცემულ კითხვასა და ბავშვის ხატვის და წერის უნარს შორის.
20. ბავშვთა 78.5%-ს მოსწონს და ერთვება აქტიურ თამაშებში, 17.1% თამაშის დროს ვერ იცავს წესებს, 1.8% ირჩევს სხვების თამაშის ყურებას და თავად არ ერთვება თამაშში, ხოლო 2.5% უპირატესობას მარტო თამაშს ანიჭებს. ბავშვთა 20.4% ყოველდღიურად ნაკლებად აქტიურია. ბავშვთა უმეტესობა (31%) აქტიურ თამაშებსა და ფიზიკურ აქტივობას დღიურად უთმობს 30-60 წთ-ს. ბავშვთა საკმაოდ დიდი ნაწილი (24 %) მხოლოდ 20 წთ-ს თამაშობს აქტიურ თამაშებს, 23% - 20-30 წთ-ს, რაც მოცემულ ასაკობრივ ნორმაზე ნაკლებია.
21. ბავშვთა უმეტესობა (98%) იცავს ჰიგიენის წესებს, თავად იბანს ხელს, ირჩევს ამინდის შესაბამის ტანსაცმელს (84.5%).
22. მშობელთა აზრით, ბავშვთა 34.9%-მა იცის და იცავს უსაფრთხოების წესებს, სწორად განსაზღვრავს, თუ როდის უნდა გამოიყენოს მოცემული წესები, 54.9%-მა იცის უსაფრთხოების წესები, მაგრამ მუდმივად საჭიროებს შეხსენებას, ხოლო 10%-ის შემთხვევაში, ბავშვებმა არ იციან უსაფრთხოების წესები.

სჯარო: მიტყველება

სასკოლო მზაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მეტყველების განვითარება. ზოგადი თვალსაზრისით, მეტყველების განვითარება გულისხმობს ბავშვის მიერ სიტყვების მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების ათვისებას, ზეპირმეტყველებას, წერა-კითხვის შესწავლას. არსებობს ორი სახის მეტყველება: რეცეპტული და ექსპრესიული. რეცეპტული მეტყველება გულისხმობს მიმართული მეტყველების ან წერილობითი ინფორმაციის გაგებას; ხოლო ექსპრესიული მეტყველება გულისხმობს აზრის ფრაზაში ჩამოყალიბებასა და გამოთქმას. რეცეპტული მეტყველების განვითარება წინ უსწრებს აქტიური მეტყველების განვითარებას.

სკოლისათვის მზაობის თვალსაზრისით, ყურადღება ექცევა მეტყველების შემდეგ ძირითად ასპექტებს:

- მეტყველება: საუბარი/ლაპარაკი — კვლევებმა აჩვენეს, რომ უფროს სკოლამდელ ასაკში ბავშვები ძალიან სწრაფად იმდიდრებენ სიტყვიერ მარაგს, იყენებენ უფრო რთულ გრამატიკულ კონსტრუქციებს. თუ სამი წლის ასაკში ბავშვის ლექსიკა მოიცავს 1000-1100 სიტყვას, 6 წლისთვის იგი იზრდება 3000-4000 სიტყვამდე. მეტყველება უკვე წამყვან როლს ასრულებს სოციალური კავშირების დამყარების პროცესში. ბავშვი საბოლოოდ ეუფლება მეტყველების ყველა ფორმას: მონოლოგი, დიალოგი, თხრობა. 6 წლისთვის სიტუაციური მეტყველების შენარჩუნების ფონზე ბავშვს უყალიბდება კონტექსტუალური მეტყველება: მას შეუძლია მოჰყვეს მოსმენილი ზღაპარი, აღწეროს სურათი, გასაგებად გადმოსცეს ნაწილი მულტფილმის შინაარსი და ა.შ (Жулагина, 2000).

ამრიგად, 5-6 წლის ბავშვს უნდა შეეძლოს ნებისმიერ სიტუაციაში დაამყაროს კონტაქტი (ისაუბროს) როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან, ნათლად და თანმიმდევრულად გადმოსცეს საკუთარი აზრი, გაიგოს მიმართული მეტყველება, სიტუაციის მიხედვით ააწყოს საუბარი. ასევე 5-6 წლის ბავშვს უნდა შეეძლოს მოკლე ზღაპრის მთავარი შინაარსის გადმოცემა, მთავარი აზრის თანმიმდევრულად და შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირება.

- ფონემატური სმენა და წარმოთქმა, არტიკულაცია - ამ პერიოდის ბოლოსთვის ბავშვი უკვე დაუფლებულია მშობლიურ ენას, ათვისებული აქვს მისი ძირითადი კანონზომიერებანი, სწორად იყენებს მეტყველების ყველა ნაწილს წინადადებებში და ა.შ. 6 წლის ასაკისთვის სრულდება ფონეტიკური და ფონემატური განვითარებაც. ამ ასაკის ბავშვი მშობლიური ენის ყველა ბგერასა და ბგერათა შეთანხმებას სწორად უნდა წარმოთქვამდეს, სხვის ნათქვამ რთულ წინადადებაში კარგად არჩევდეს ბგერებსა და სიტყვებს. ბავშვის მეტყველების მკვლევარები და პრაქტიკოსები მიუთითებენ, რომ მისი პიროვნების ჩამოყალიბების, სოციალური კონტაქტების დამყარებისა და სასკოლო მზაობისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად სწორად წარმოთქვამს ბავშვი ბგერებს და რამდენად კარგად ესმის მიმართული მეტყველების აზრი. ბავშვი, რომელიც გამართულად მეტყველებს, თავისუფლად შედის კონტაქტში როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთან, ხოლო ბავშვებს, რომელთაც მეტყველების ბგერითი მხარის განვითარებაში - არტიკულაციაში - აღენიშნებათ შეფერხება, ან უჭირთ გრძელი და რთული წინადადების გაგება, უძნელდებათ კონტაქტში შესვლა ადამიანებთან, ფერხდება მათი ფსიქიკური განვითარებაც.

ამრიგად, 5-6 წლის ბავშვს თავისუფლად და მკაფიოდ უნდა შეეძლოს ბგერების წარმოქმნა და მათი გამოდიფერენცირება (გამოცალკევება) ერთმანეთისგან, ნებისმიერ სიტყვასა და ფრაზაში თავისუფლად გამოთქმა.

- ლექსიკური მარაგი - 5/6 წლის ბავშვს უკვე უნდა ჰქონდეს საკმაოდ დიდი ლექსიკური მარაგი – მან უნდა იცოდეს ხშირად ხმარებადი სიტყვების სინონიმები, ანტონიმები, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები, მიმართების გამომხატველი სიტყვები და ა.შ.

- გრამატიკა – აზროვნების განვითარება, თავისთავად, გავლენას ახდენს მეტყველების განვითარებაზე. ამ პერიოდში ბავშვის ყოველდღიურ ლექსიკაში სჭარბობს ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მიზეზ–შედეგობრივ, მიზნობრივ მიმართებებს: „იმიტომ, რომ“, „იმისათვის, რომ“ „თუ, მაშინ“ და ა.შ. ბავშვი ახერხებს ფრაზებში ძირითადი და მეორეხარისხოვანი წინადადებების გამოდიფერენცირებას. ასევე აცნობიერებს შეცდომებს მეტყველებაში: მაგალითად, 6 წლის ბავშვს კარგად ესმის, რომ არ შეიძლება თქვას: „გუშინ მე წავალ“, რადგან იცის, რომ „წავალ“ გულისხმობს მომავალს, გუშინ კი – წარსულს. უფროს სკოლამდელ ასაკში ბავშვი არა მარტო სწავლობს სწორად გამოთქვას საკუთარი აზრი, არამედ ის ანალიზს უკეთებს საკუთარ მეტყველებას, საკუთარი ანალიზის საგნად აქცევს, რაც აუცილებელი პროცესია შემდგომში სკოლაში აკადემიური ჩვევების ასათვისებლად.

ამრიგად, 5/6 წლის ბავშვს უკვე უნდა ესმოდეს სხვადასხვა გრამატიკული კონსტრუქციები, ასევე უნდა შეეძლოს სიტყვათწარმოება, მაგ., „ქუდი, რომელიც გაიხევა, როგორია? გახეული“.

ბავშვზე დაკვირვების ინსტრუმენტის მეტყველების ნაწილის შექმნის პროცესში გათვალისწინებული იყო ეს კონკრეტული ასპექტები.

კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა

ინსტრუმენტის შედგენის მიზნით, თავდაპირველად მიმოხილული იყო მეტყველების მკვლევარების რეკომენდაციები, ამ სფეროში ქართველი ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული კვლევები, მსგავსი ინსტრუმენტის შექმნასთან დაკავშირებული სხვა ქვეყნების გამოცდილება. კერძოდ, ინსტრუმენტის შექმნის პროცესში გათვალისწინებულ იქნა დ. უზნაძის, ე. მოიძანის, შტერნის, ა. ლეონტიევის, ვიგოტსკის და სხვათა შრომები ბავშვის მეტყველების განვითარებასთან დაკავშირებით. დეტალურად შესწავლილ იქნა სხვა ქვეყნების გამოცდილება და სასკოლო მზაობის რამდენიმე ვალიდური ინსტრუმენტი, როგორცაა: ლ. ვენგერის “მოტივაციური მზაობა სკოლისათვის”, კერნ-იასეკის სასკოლო მზაობის ტესტი, ი. შვანცარის “ვერბალური აზროვნების ტესტი”, დ. გეიპის “თვითდიაგნოსტიკა მშობლისათვის”, გ. ვიცლაკის “სასკოლო მზაობის ტესტი”, ნ. გუტკინას მეთოდიკა “იპოვე ბგერა” და ა.შ. ინსტრუმენტის პილოტირების შემდეგ, მოხდა მისი ჩასწორება. ინსტრუმენტი შედგებოდა 11 დავალებისაგან. ეს დავალებები შემდეგნაირად განაწილდა:

ცხრილი 10

	დავალების შინაარსი	უნარი, რომელსაც აფასებს აღნიშნული დავალება
1	ნახატზე ფიგურების განლაგების ამოცნობა	თანდებულების სწორი გამოყენება
2	წინადადებებში მთავარი მოქმედი პერსონაჟის გამოყოფა	მიმართული მეტყველების გაგება. მარტივი ინსტრუქციების გააზრება და გაგება.
3-5	სიტყვაში ბგერის ამოცნობა	ფონემატური სმენისა და აღქმის შეფასება
4	სიტყვებით წინადადებების შედგენა	სიტუაციის (თემის) მიხედვით აზრის გადმოცემის უნარი
6	რითმული სიტყვებიდან განსხვავებულის გამოდიფერენცირება	მიმართული მეტყველების გაგება
7-8	სიტყვების ბგერებად და მარცვლებად დაშლა	ბგერითი ანალიზის უნარი, ფონემატური სმენისა და აღქმის შეფასება.
9	ბგერებად დაშლილი სიტყვის ამოცნობა	ბგერითი სინთეზის უნარი, ფონემატური სმენისა და აღქმის შეფასება.
10	მოცემული სიტყვისგან სხვა სიტყვის წარმოება	სიტყვათწარმოება, ლექსიკური მარაგი, გრამატიკული კონსტრუქციებით მანიპულირება.
11	სახელდება	ლექსიკური მარაგი

მშობლის კითხვარში კი შედიოდა 8 შეკითხვა. კონკრეტულად, რა ინფორმაციასა და შედეგზე გადის თითოეული კითხვა, მოცემულია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 11).

ცხრილი 11

	დავალების შინაარსი	ინფორმაცია, რომელსაც გვანვძის აღნიშნული დავალება
1	რა ასაკიდან დაიწყო ბავშვმა ლაპარაკი	როგორ მიმდინარეობდა მეტყველების განვითარების პროცესი, ხომ არ ჰქონდა ადგილი განვითარების შეფერხებას
2	როგორ გადმოსცემს ბავშვი საკუთარ აზრს	მეტყველების სპეციფიკის შეფასება, რამდენად გამართულად მეტყველებს ბავშვი
3-8	როგორ წარმოთქვამს ბავშვი ბგერებს, ხომ არ უჭირს ქართულისთვის სპეციფიკური შიშინა და სისინა ბგერების წარმოთქმა	ბგერათა წარმოთქმის, არტიკულაციის შეფასება
4-5	რამდენად აქტიურად მეტყველებს ბავშვი, ხომ არ იკავებს თავს ლაპარაკისგან	ენის კომუნიკაციური უნარის განვითარების შეფასება
6-7	მოსმენილის გააზრება, გაგება და გადმოცემა, ინსტრუქციების შესრულება	მიმართული მეტყველების გაგება და მის საფუძველზე საკუთარი აზრის გადმოცემის უნარის შეფასება

შედეგები

პირველი დავალება, სადაც ბავშვებს ევალებოდათ ნახატზე მითითებული ფიგურებიდან ამოეცნოთ, სად იყო გამოსახული, მაგალითად, წრე კვადრატზე, ან წრე კვადრატში, ბავშვების მხოლოდ 29%-მა შეასრულა უშეცდომოდ. ძირითადად ნაწილმა (57%) 3 დავალებიდან მხოლოდ 1 ან 2 შეასრულა სწორად, შედარებით მცირე ნაწილმა დავალება საერთოდ ვერ შეასრულა (14%).

დავალება 2, რომელშიც ბავშვს უნდა ამოეცნო მოსმენილ წინადადებაში მთავარი მოქმედი პირი, უშეცდომოდ შეასრულა მოსწავლეთა 43%-მა, საერთოდ ვერ შეასრულა მხოლოდ 5%-მა, ნაწილობრივ, გარკვეული შეცდომების დაშვებით შეასრულა 52%-მა.

დავალება 3-სა და 5-ში ბავშვებს ევალებოდათ სიტყვაში, რომელიც მოცემული იყო ასევე ნახატის სახითაც, გამოედიფერენცირებინათ ბგერა “შ” და ბგერა “ლ”, ანუ არსებული ნახატებიდან ამოერჩიათ მხოლოდ ის ნახატი, რომლის დასახელებაშიც იყო ბგერა “შ” და მეორე შემთხვევაში ბგერა “ლ”. დავალება ბგერა “შ”-ს შემთხვევაში წარმატებით შეასრულა მონაწილე ბავშვთა მხოლოდ 41%-მა, საერთოდ ვერ შეასრულა მონაწილეთა 15%-მა, დანარჩენმა 44%-მა დავალება შეასრულა გარკვეული შეცდომების დაშვებით, ხოლო დავალება ბგერა “ლ”-ს შემთხვევაში უშეცდომოდ შეასრულა კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 26%-მა, საერთოდ ვერ შეასრულა გამოკითხულთა 14%-მა.

დავალება 7-ში ბავშვებს ევალებოდათ მოცემული სიტყვები დაეშალათ ბგერებად. ამ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი გამოკითხულთა მხოლოდ 17%-მა, 50%-მა საერთოდ ვერ შეასრულა დავალება, 25% ცდილობს, შეასრულოს დავალება, თუმცა, უშვებს 1-ზე მეტ შეცდომას, ხოლო 9% ამ დავალების შესრულებისას მხოლოდ ერთ შეცდომას უშვებს. როგორც ვხედავთ, სიტყვის ბგერითი ანალიზი ამ ასაკის ბავშვების უმეტესობისათვის რთულ დავალებას წარმოადგენს.

იმ დავალებების მიხედვით, სადაც ბავშვებს ევალებოდათ ტაშით დაემარცვლათ სიტყვები (აქაც ხდებოდა სიტყვის ანალიზი), დაკვირვებაში მონაწილე ბავშვთა პროცენტული განაწილება შემდეგია: 72% დავალებას უშეცდომოდ ასრულებს, მხოლოდ 5%-ს არ შეუძლია ამ დავალების შესრულება, 23% კი ცდილობს შეასრულოს, თუმცა, უშვებს შეცდომებს. როგორც ვხედავთ, სიტყვის ასეთი სახის ანალიზი ბავშვებისათვის უფრო დაძლევადია, ვიდრე ცალკეული ბგერების მიხედვით.

დავალება 9 ეხება ბგერითი სინთეზის უნარის შემოწმებას. ეს დავალებაც საკმაო სირთულეს წარმოადგენს ამ ასაკის ბავშვებისათვის. უმეტესობა (41%) ან საერთოდ ვერ ასრულებს დავალებას, ან ასრულებს, მაგრამ უშვებს ბევრ შეცდომას (45%), მხოლოდ მცირე ნაწილს (14%) შეუძლია ამ დავალების უშეცდომოდ შესრულება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასკოლო მზაობისთვის აუცილებელია ბავშვს ჰქონდეს საკმარისი ლექსიკური მარაგი და შეეძლოს სიტყვათა წარმოება. ამ უნარების მიხედვით მდგომარეობა შემდეგნაირია: ბავშვების მხოლოდ 10%-ს შეუძლია უშეცდომოდ აწარმოოს სიტყვა სხვა სიტყვისაგან,


მაგალითად, როდესაც ვეკითხებით ისეთ ამოცანებს, როგორცაა, „ჭურჭელს, რომელშიც ყრია მარილი, რა ჰქვია? (სამარილე)“, 9% საერთოდ ვერ გვპასუხობს, ხოლო 39% ასეთი ტიპის დავალებების შესრულების დროს უშვებს ბევრ შეცდომას, 42% კი 5 ასეთი დავალებიდან უშეცდომოდ ასრულებს სამს ან ოთხს. დავალებას, რომელიც ლექსიკურ მარაგს უკავშირდება, უშეცდომოდ ასრულებს ბავშვთა მხოლოდ მცირე ნაწილი (17%), ძირითადი ნაწილი კი ცდილობს შეასრულოს დავალება, თუმცა, უშვებს გარკვეულ შეცდომებს (2-ზე მეტ შეცდომას - 32%, ერთ ან ორ შეცდომას - 48%).

თუ მონაცემებს განვიხილავთ ასაკობრივ ჯგუფში, ვნახავთ, რომ სტატისტიკურად სანდო დონეზე საინტერესო განსხვავებას იძლევა 5 წლისა და 6 წლის ბავშვთა შედეგები.

დავალება 1 - თანდებულების გამოყენება, მიმართული მეტყველების გაგება - უშეცდომოდ შეასრულა 5 წლიანების 25%-მა, ხოლო 6 წლიანების - 30%-მა. ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ($X^2=9.06$, თ.ხ.=3, $p \leq 0.02$) (იხ. დიაგრამა 13).

თანდებულების გამოყენება

დიაგრამა 13




დავალება 2 - მოსმენილ წინადადებაში მთავარი მოქმედი პერსონაჟის გამოყოფა - წარმატებით შეასრულა კვლევაში მონაწილე 5 წლის ბავშვების 42%-მა და 6 წლის ბავშვების 43%-მა. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა.

III და V დავალებაში ბავშვებს მოეთხოვებოდათ სიტყვაში პრობლემური ბგერის (შ, ლ) გამოდifferენცირება. დაკვირვებაში მონაწილე ბავშვთა დიდმა ნაწილმა - 5 წლის ბავშვთა 33%-მა და 6 წლის ბავშვთა 45%-მა - სწორად გამოყო სიტყვაში ბგერა “შ”, ხოლო 5 წლიანების 19%-მა და 6 წლიანების 13%-მა საერთოდ ვერ შეასრულა დავალება. დაკვირვებაში მონაწილე ბავშვების დანარჩენმა ნაწილმა დავალება შეასრულა გარკვეული რაოდენობის შეცდომებით (იხ. დიაგრამა 14.1). განსხვავება ასაკობრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ($X^2=19.20$, თ.ხ.=3, $p \leq .000$). ხოლო დავალება, სადაც სიტყვაში ბგერა “ლ” უნდა გამოდifferენცირებინათ, სწორად შეასრულა 5 წლიანი ბავშვების 22%-მა და 6 წლიანი ბავშვების 28%-მა. 5 წლიანების 18%-მა და 6 წლიანების 12%-მა საერთოდ ვერ შეასრულა დავალება. დაკვირვებაში მონაწილე დანარჩენმა ბავშვებმა დავალება შეასრულეს შეცდომებით (იხ. დიაგრამა 14.2). განსხვავება ასაკობრივ ჯგუფებს შორის, ამ დავალებისთვის, სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ($X^2=13.08$, თ.ხ.=3, $p \leq .004$).

სიტყვაში ბგერა „შ“-ს გამოდიფერენცირება


დიაგრამა 14.1



როგორც შედეგების ანალიზიდან ვხედავთ, ფონემების აღქმისა და სიტყვაში გამოდიფერენცირების უნარი 6 წლის ბავშვებში უფრო კარგადაა დაძლეული, ვიდრე 5 წლიანებში.

ბგერა „ლ“-ს გამოდიფერენცირება სიტყვაში


დიაგრამა 14.2



5 წლიანების 47% საერთოდ ვერ ახერხებს წინადადებების შედგენას, მხოლოდ 14% ასრულებს დავალებას ნარმატებით, ხოლო 6 წლიანების 41% საერთოდ ვერ ასრულებს დავალებას, 39% ცდილობს შეასრულოს დავალება, მაგრამ მითითებული სამი სიტყვიდან იყენებს ერთს ან ორს, 20% უშეცდომოდ ასრულებს დავალებას. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ($X^2=10,31$, თ.ბ.=2, $p \leq 0,002$) (იხ. დიაგრამა 15)

წინადადებების შედეგა

დიაგრამა 15




დავალება 6, სადაც ბავშვებს ევალუბოდათ მოცემულ სიტყვათა შორის განსხვავებული რითმული სიტყვის ამოცნობა, წარმატებით შეასრულა 5 წლიანების 15%-მა და 6 წლიანების 18%-მა. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა.

დავალება 7, სადაც ბავშვებს ევალუბოდათ სიტყვების ბგერებად დაშლა, საერთოდ ვერ შეასრულა 5 წლიანების 55%-მა, 6 წლიანების 48%-მა. დავალება შეასრულა 1-ზე მეტი შეცდომით 5 წლიანების 25%-მა და 6 წლიანების 24%-მა. ერთი შეცდომით დავალება შეასრულა 5 წლიანების 7%-მა და 6 წლიანების 9%-მა. უშეცდომოდ შესრულდა დავალება 5 წლიანების 13%-ის და 6 წლიანების 18%-ის მიერ. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($X^2 = 11.18$, $o.b.=4$, $p \leq 0.02$) (იხ. დიაგრამა 16).

სიტყვის ბგერებად დაშლა (ბგერითი ანალიზი)

დიაგრამა 16




დავალება 8, სადაც ბავშვებს ევალუბოდათ სიტყვების ტაშით დამარცვლა, წარმატებით შეასრულა თითქმის უმეტესობამ: 5 წლიანების 71%-მა და 6 წლიანების 73%-მა. მხოლოდ მცირე ნაწილმა - 5 წლიანების 5%-მა და 6 წლიანების 4%-მა - ვერ შეძლო დავალების საერთოდ შესრულება. განსხვავება ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სანდო არ აღმოჩნდა.

დავალება 9-ში ბავშვებს ევალუბოდათ ბგერითი სინთეზი, მოცემული ბგერების მიხედვით სიტყვის შედგენა. დავალებას წარმატებით გაართვეს თავი 5 წლიანების 10%-მა, ხოლო 6 წლიანების - 15%-მა. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($X^2 = 14.89$, $o.b.=4$, $p \leq 0.00$) (იხ. დიაგრამა 17).

დავალება 10 და 11 ბავშვების ლექსიკურ მარაგს ამოწმებს. დავალებას წარმატებით გაართვა თავი 5 წლიანების 7%-მა და 6 წლიანების 11%-მა. ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სანდო აღმოჩნდა ($X^2 = 10.88$, $o.b.=5$, $p \leq 0,05$) (იხ. დიაგრამა 18).


ბგერითი სინთეზი

დიაგრამა 17



ლექსიკური მარაგი

დიაგრამა 18




მეტყველებაში სტატისტიკურად სანდო განსხვავება შეინიშნება იმის მიხედვით, ბავშვი დადიოდა საბავშვო ბაღში თუ არა, მისი სკოლამდელი პერიოდის სააღმზრდელო გარემო ორგანიზებული იყო თუ არა. კერძოდ, ორგანიზებული გარემო დადებით გავლენას ახდენს მეტყველების განვითარებაზე.

დავალებებში, სადაც საჭირო იყო მოცემულ წინადადებაში მთავარი მოქმედი პერსონაჟის ამოცნობა, იმ ბავშვებს, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიოდნენ, უფრო მაღალი შედეგები აქვთ, ვიდრე მათ, ვინც არ დადიოდა. კერძოდ, ორგანიზებული გარემოს შემთხვევაში დავალება უშეცდომოდ შეასრულა ბავშვების 44%-მა, ხოლო არაორგანიზებული გარემოს შემთხვევაში - 37%-მა. განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($X^2 = 26.14$, თ.ხ.=5, $p \leq 0,00$) (იხ. დიაგრამა 19)

წინადადებაში მთავარი მოქმედი პერსონაჟის ამოცნობა


დიაგრამა 19




ფონემატური აღქმის შესამოწმებელ დავალებებში (III და V დავალებები) ორგანიზებული გარემოს შემთხვევაში მოსწავლეთა 27% (ბგერა „ლ“-ს გამოდიფერენცირება) და 45% (ბგერა „შ“-ს გამოდიფერენცირება) უშეცდომოდ ასრულებს დავალებას, მაშინ როდესაც არაორგანიზებული გარემოს შემთხვევაში ამ დავალების უშეცდომოდ შესრულების პროცენტული მაჩვენებლებია: 32% და 23%. ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა III დავალებისა ($X^2 = 28.57$, თ.ხ.=3, $p \leq 0,00$) და V დავალების შემთხვევაში ($X^2 = 34.50$, თ.ხ.=3, $p \leq 0,00$) (იხ. დიაგრამები 20 და 21)

ბგერა „შ“-ს გამოდიფერენცირება სიცივაში

დიაგრამა 20






განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკური მარაგის მიხედვით განსხვავება ორგანიზებულ და არაორგანიზებულ გარემოში მყოფ ბავშვებს შორის. ორგანიზებული გარემოს ბავშვების 18% და არაორგანიზებული გარემოს ბავშვების 16% უშეცდომოდ ასრულებს დავალებას, რომელიც ამონიშნავს მათ ლექსიკურ მარაგს. ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($X^2 = 71.28$, $t.b = 6$, $p \leq 0,00$) (იხ. დიაგრამა 22). მთლიანობაში, ამ ასაკის ბავშვების ლექსიკა ძალიან ღარიბია და საჭიროებს სათანადო ყურადღების მიქცევას, როგორც სკოლამდელი დანესებულების აღმზრდელის, ასევე მშობლის მხრიდან.

ლექსიკური მარაგი


დიაგრამა 22



განსაკუთრებით არასახარბიელო შედეგები გვაქვს იმ დავალებაში, სადაც ბავშვებს ევალებოდათ მითითებული სამი სიტყვის გამოყენებით წინადადების შედგენა. ორგანიზებული გარემოს ფაქტორის არსებობის შემთხვევაში წინადადების შედგენას სამივე სიტყვის გამოყენებით ახერხებდა ბავშვების მხოლოდ 19%, ხოლო არაორგანიზებული გარემოს შემთხვევაში - 15%. თუ ჩვენ შევხედავთ ბავშვების განაწილებას იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ასრულებენ დავალებას, ვნახავთ, რომ აქ შეინიშნება გარემოს ორგანიზებულობის ფაქტორის როლი. ორგანიზებული გარემოს არსებობის შემთხვევაში ბავშვების 38% ვერ ასრულებს დავალებას, მაშინ როდესაც არაორგანიზებული გარემოს შემთხვევაში ამ ბავშვების რიცხვი 55 %-ია. ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($X^2 = 34.28$, $t.b = 2$, $P \leq 0,00$) (იხ. დიაგრამა 23).

მითითებული სიტყვების გამოყენებით წინადადების შედგენა

დიაგრამა 23




როგორც მონაცემებიდან ჩანს, ორგანიზებული გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში, რადგან ნებისმიერი ფსიქიკური ფუნქციის განვითარებას, თუნდაც სენსიტიურ პერიოდში, აუცილებლად სჭირდება სათანადო მასტიმულირებელი გარემო. თუ ეს გარემო არ გვაქვს, მაშინ ამ ფუნქციის განვითარება ფერხდება. ორგანიზებული გარემო უფრო მეტად იძლევა საშუალებას, აქცენტი გაკეთდეს სათანადო გარემოს შექმნაზე და შესაბამისი ფუნქციის განვითარების სტიმულირებაზე.

„ქალაქი“, „მთა“, „სოფლის“ მიხედვით მონაცემთა ანალიზის შედეგად საინტერესო შედეგები მივიღეთ მეტყველების სფეროში.

დავალება 1-ში, სადაც თანდებულების ადეკვატური გამოყენება მონმდებოდა, სტატისტიკურად სანდო განსხვავებები არ გამოვლინდა, თუმცა მონაცემების განაწილებამ აჩვენა, რომ ქალაქის შედეგები უფრო მაღალია (30%) ვიდრე სოფლის (26%). მთასა (29%) და ქალაქს შორის ამ დავალების მიხედვით არსებითი სხვაობა არ გამოვლენილა. დანარჩენ დავალებებში განსხვავება ამ ფაქტორის მიხედვით სტატისტიკურად სანდო დონეზე დადასტურდა.


დავალებებში, რომლებიც ინფორმაციას გვანვდიდა ბავშვის ბგერითი სინთეზის უნარის შესახებ, ქალაქის სკოლების პირველკლასელების შედეგები მთის და სოფლის სკოლების პირველკლასელებთან შედარებით მაღალი იყო. კერძოდ, თბილისის სკოლების ბავშვების 18%-ს მითითებული ბგერების მიხედვით შეუძლია სიტყვის ამოცნობა, ანუ ახერხებს ბგერების გაერთიანებას სიტყვის სახით, მაშინ, როცა ამ დავალებას სოფლისა და მთის სკოლების მხოლოდ 8-8% ასრულებს ($X^2 = 78.57$, $t.b = 8$, $p \leq 0,00$), თუმცა, ეს უნარი ამ ასაკში მაინც არაა დაძლეული სათანადო დონეზე (იხ. დიაგრამა 24).



მსგავსი სიტუაციაა ბგერითი ანალიზის კუთხით. ქალაქის სკოლების ბავშვები უფრო კარგად ასრულებენ შესაბამის დავალებებს, ვიდრე მთისა და სოფლის სკოლების. კერძოდ, ქალაქის სკოლების პირველკლასელთა 20% წარმატებით ასრულებს ბგერებად დაშლის დავალებას, მაშინ, როდესაც ამ დავალებას უშეცდომოდ მთის სკოლების პირველკლასელთა მხოლოდ 8% და სოფლის სკოლების პირველკლასელთა 14% ასრულებს (იხ. დიაგრამა 25). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($X^2 = 41.91$, თ.ხ = 8, $p \leq 0,00$).

ბგერითი ანალიზი


დიაგრამა 25



როგორც მონაცემების ზოგადმა ანალიზმა აჩვენა, ბავშვებისათვის შედარებით რთულ დავალებას წარმოადგენს მითითებული სიტყვების მიხედვით წინადადებების შედგენა. საინტერესო აღმოჩნდა შედეგების განხილვა საცხოვრებელი ადგილის ფაქტორის ქრილში. ქალაქის სკოლების ბავშვების 22% უშეცდომოდ ახერხებს მიცემული სიტყვების გამოყენებით წინადადების შედგენას. ამავე დავალებას უშეცდომოდ ასრულებს სოფლის სკოლების მოსწავლეთა 14% და მთის სკოლების მოსწავლეთა 8% ($\chi^2 = 23.76$, თ.ხ = 4, $p \leq 0,00$). უფრო დეტალური სურათისათვის იხ. დიაგრამა 26.

მიითებული სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენა


დიაგრამა 26



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონემატური აღქმის განვითარება ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა სასკოლო მზაობისთვის. წერისა და კითხვის ათვისებისთვის ბავშვს უნდა შეეძლოს სიტყვაში ყველა ფონემის გამოდიფერენცირება, განსაკუთრებით ეს ეხება ქართულისათვის სპეციფიკურ სისინა და შიშინა ბგერებს. მონაცემების ანალიზის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით ქალაქის სკოლებში უფრო კარგი მდგომარეობაა, ვიდრე მთისა და სოფლის სკოლებში. კერძოდ, სიტყვაში ბგერა „შ“-ს გამოდიფერენცირება ქალაქის სკოლების პირველკლასელთა 50%-ს უშეცდომოდ შეუძლია, მაშინ როდესაც სოფლის სკოლებში ეს რიცხვი 35%-ია, მთის სკოლებში კი-23% ($\chi^2 = 70.86$, თ.ხ.=6, $p \leq 0,00$). დიაგრამაზე 27 დეტალურადაა მოცემული ამ დავალების შესრულების ანალიზი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სიტყვაში ბგერა „შ“-ს გამოდიფერენცირება

დიაგრამა 27



მსგავსი სიტუაციაა ბგერა “ლ”-ს შემთხვევაშიც. ქალაქის სკოლების პირველკლასელთა 22% უშეცდომოდ ახერხებს დავალების შესრულებას, ხოლო მთისა და სოფლის სკოლებში ეს პროცენტული მაჩვენებელი ერთნაირია და 14%-ს უდრის ($X^2 = 63.5$, თ.ხ.=6, $p \leq 0,00$). ეს მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია ამ მიმართულებით ყურადღება მიექცეს სოფლისა და მთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მათთვის ამ შედეგების გაცნობისა და შემდგომი პრევენციული ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით.

დასკვნები

1. პირველკლასელთა მხოლოდ მცირე ნაწილს (29%-ს) შეუძლია თანდებულების უშეცდომოდ გამოყენება.
2. ბავშვების 43%-ს შეუძლია წინადადებაში მთავარი მოქმედი პერსონაჟის ამოცნობა.
3. ბავშვების 41% სიტყვაში ბგერა “შ”-ს გამოცალკევებას უშეცდომოდ ახერხებს, ხოლო ბგერა “ლ”-ს გამოცალკევებას - კვლევის მონაწილეთა მხოლოდ 26%.
4. სიტყვების ბგერებად ანალიზი უშეცდომოდ შეასრულა ბავშვების მხოლოდ 17%-მა, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია სასკოლო მზაობის თვალსაზრისით.
5. ბავშვების დიდი ნაწილი (72%) სიტყვების ტაშით დამარცვლას უშეცდომოდ ახერხებს.
6. კვლევაში მონაწილე ბავშვების მხოლოდ 14%-ს შეუძლია ბგერითი სინთეზის განხორციელება.
7. პირველკლასელების მხოლოდ 17%-ს აქვს სათანადო ლექსიკური მარაგი. უფრო მცირე ნაწილს (10%) შეუძლია მოცემული სიტყვიდან სხვა სიტყვის წარმოება.
8. მნიშვნელოვანი განსხვავება იგრძნობა ქალაქის, სოფლისა და მთის სკოლების პირველკლასელთა შედეგებში.
9. არსებითი განსხვავება იმის მიხედვით, ბავშვი დადიოდა თუ არა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში (ბაგა-ბაღებსა და საბავშვო ბაღებში).

სჯარო: შიშვენიერებაში განვითარება და ზოგადი ცოდნა

შემეცნება არის ცოდნის მიღების პროცესი, წარმოდგენების შექმნა სამყაროს მოვლენების, მათი თანაარსებობისა და თანმიმდევრობის შესახებ.

შემეცნების პროცესში ყველა ფუნქცია არის ჩართული: აღქმა, მეხსიერება, აზროვნება, ყურადღება.

სასკოლო მზაობის მკვლევარი მეცნიერები (შ. ჩხარტიშვილი, ა. კერნი, გ. ვიტცლაკი) მნიშვნელოვან როლს გონებრივ მზაობას აკუთვნებენ და მასზე შემდეგი კრიტერიუმებით მსჯელობენ:

1. აღქმის დანაწევრება (ბავშვს უნდა შეეძლოს მთელიდან დეტალების გამოყოფა და დეტალების ერთ მთლიან ხატად გაერთიანება);
2. ყურადღების კონცენტრაცია;
3. ანალიტიკური აზროვნება; მოვლენებს შორის კავშირის და მიმართების დამყარება;
4. ლოგიკური დამახსოვრება;
5. სენსომოტორული კოორდინაცია – კიდურების, ხელის და თვალის შეთანხმებული და კოორდინირებული მოძრაობის უნარი;
6. ნიმუშით ხელმძღვანელობის უნარი;
7. ნატიფი მოტორიკა – თითების მოქნილი, ზუსტი და სწრაფი მოძრაობის უნარი.

კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა

ინსტრუმენტის შედგენამდე მიმოხილულ იქნა გერმანელი ფსიქოლოგის გ. ვიტცლაკის ტესტი (ვიტცლაკი, 1986), რომელიც ადგენს 5.5-7 წლის ბავშვების უნარს სასკოლო სწავლებისადმი და გონებრივი განვითარების დონეს და ნ. გუტკინას (გუტკინა, 1993) მიერ შემუშავებული პროგრამა “6-7 წლის ბავშვების ფსიქოლოგიური მზაობის დადგენა”. საპილოტე კვლევისთვის შემეცნებითი სფეროს და ზოგადი ცოდნის საკვლევად დავალებები კრიტერიუმებზე დაყრდნობით შემუშავდა. მოცემული დავალებები მხოლოდ ბავშვის ინსტრუმენტისთვის იყო განკუთვნილი (იხ. ცხრილი 12). ინსტრუმენტის პილოტირების შემდეგ, მისი ოპტიმიზაციის მიზნით, ცვლილებები შევიდა ბავშვზე დაკვირვების ფორმაში. საბოლოოდ ბავშვზე დაკვირვების ფორმაში დარჩა 23 დავალება.

	დავალების შინაარსი	უნარი, რომელსაც ავსებს აღნიშნული დავალება
1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 10, 11, 12, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22	საკუთარ თავზე, მოვლენებზე ინფორმაცია, თვლა, არითმეტიკული ოპერაციების განხორციელება	თვალსაზიერე
13	4 წინადადებისგან შემდგარი ამბის დამახსოვრება და რეპროდუქცია	მეხსიერების განვითარება
6	7 განსხვავების შემცველი ნახატების შედარება	ყურადღების კონცენტრაცია
14, 16, 23	სიუჟეტური ნახატების ანცობა; მეთოდიკა „მე-4 ზედმეტია“	ანალიტიკური აზროვნება, მოვლენებს შორის ძირითადი კავშირების დამყარების უნარი


შედეგები

დავალებები თვალსაზიერებზე შესაძლებლობას იძლეოდა გვეკვლია, შეუძლია თუ არა ბავშვს მოგვანოდოს ინფორმაცია საკუთარი თავისა და გარემოს შესახებ, შეუძლია თუ არა მას თვლა და არითმეტიკული ოპერაციების შესრულება. ის 18 დავალებისგან შედგებოდა.

დავალება 3. საკუთარ ასაკს სწორად ასახელებს I კლასის მოსწავლეთა 92.8%; 5 წლიან მოსწავლეთა 29.6%, 6 წლიან მოსწავლეთა 63.7%. თუმცა, მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა; ბალში მოსიარულეთა შორის 67.7%, არმოსიარულეთა 3.9%. აღნიშნულ ორ ჯგუფს შორის არ დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება.


საკუთარ ასაკს სწორად ასახელებს ქალაქში მცხოვრებ I კლასელთა 51.4%, სოფლისა 31,3%, მთაში მცხოვრებ I კლასელთა 10.5%. აღნიშნულ ჯგუფებს შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება. ($X^2= 20.955$ თ.ხ=2, $p=.000$) (იხ. დიაგრამა 28)

დიაგრამა 28




დავალეზა 4. საკუთარი დაბადების დღე იცის I კლასელთა 31.9%-მა; 5 წლიან მოსწავლეთა 11.2%-მა, 6 წლიან მოსწავლეთა 20.9%-მა; თუმცა, მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა. ბაღში მოსიარულეთა შორის დაბადების დღე იცის 25.0%-მა, არმოსიარულეთა შორის 7.1%-მა. აღნიშნულ ორ ჯგუფს შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება. ($X^2=13.883$, $t.b=1$, $p=.000$) (იხ. დიაგრამა 29)

დიაგრამა 29




საკუთარი დაბადების დღის თარიღს სწორად ასახელებს ქალაქში მცხოვრებ I კლასელთა 21.1 %; სოფლის - 8.3 %, მთაში მცხოვრებ I კლასელთა - 2.7%. აღნიშნულ ჯგუფებს შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება. ($X^2=41.873$ $t.b=2$ $p=0.000$) (იხ. დიაგრამა 30).

დიაგრამა 30




დავალეზა 5. საცხოვრებელ ქალაქს/სოფელს სწორად ასახელებს I კლასელთა 76.1%; 5 წლიან მოსწავლეთა 24.1%, 6 წლიან მოსწავლეთა 52%. მათ შორის არ დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება; ამავე კითხვაზე პასუხს სწორად სცემს ორგანიზებულთა 54.8%, არაორგანიზებულთა - 21.3% (მათ შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება, $X^2=22.295$ $t.b=2$ $p=0.000$), ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეთა 38.8%, სოფელში მცხოვრებ მოსწავლეთა 28.4%, მთაში მცხოვრებთა 9,3%. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა. ($X^2=22.295$, $t.b=2$, $p=0.000$) (იხ. დიაგრამა 31).

დიაგრამა 31




დავალბა 18. წელიწადის დროების სწორად ჩამოთვლა შეძლო I კლასელთა 53.4%-მა; 5 წლიან მოსწავლეთა 16.5%-მა, 6 წლიან მოსწავლეთა 36,9%-მა. მათ შორის არ დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება. წელიწადის დროების სწორად ჩამოთვლა შეძლო ბავშვი მოსიარულე მოსწავლეთა 40.8%-მა, არმოსიარულე მოსწავლეთა 10.9%-მა. მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა. ($\chi^2=56.449$, $t.b=1$, $p=.000$) (იხ. დიაგრამა 32).


დიაგრამა 32



წელიწადის დროების სწორად ჩამოთვლა შეძლო ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეთა 31%-მა, სოფელში მცხოვრებთა 18%-მა, მთაში მცხოვრებთა 4.3%-მა. მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა. ($\chi^2=21.424$ $t.b=2$ $p=0.000$) (იხ. დიაგრამა 33).




დავალება 20. კვირის დღეების ჩამოთვლა სწორად შეძლო I კლასელთა 33.1 %-მა; 5 წლიან მოსწავლეთა 9.7 %-მა, 6 წლიან მოსწავლეთა 23.3%-მა. მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა. კვირის დღეების ჩამოთვლა სწორად შეძლო ბალში მოსიარულე მოსწავლეთა 27.5%-მა, არმოსიარულეთა 5.5%-მა. მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა ($X^2=47.261$ თ.ბ=1 $p=0.00$) (იხ. დიაგრამა 34).




კვირის დღეების ჩამოთვლა სწორად შეძლო ქალაქში მცხოვრებთა 19.9%-მა, სოფლის - 10.8%-მა, მთაში მცხოვრებ მოსწავლეთა 2.4%-მა. მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა ($X^2=16.541$ თ.ბ=2 $p=0.00$) (იხ. დიაგრამა 35).

დიაგრამა 35



დავალემა 21. ცხოველების ჩამოთვლა (მინიმუმ, 6 ცხოველი) შეძლო I კლასელთა 63.7%-მა; 5 წლიან მოსწავლეთა 19.5%-მა, ხოლო 6 წლიან მოსწავლეთა 44.2%-მა. მათ შორის სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა. ცხოველების დასახელება შეძლო ბაღში მოსიარულე მოსწავლეთა 47.5%-მა, არმოსიარულე მოსწავლეთა 16.3%-მა. განსხვავება სტატისტიკურად სანდოა. ($\chi^2=11.007$ თ.ხ=1 $p < 0.05$) (იხ. დიაგრამა 36).

დიაგრამა 36




ცხოველების დასახელება შეძლო ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეთა 35.5%-მა, სოფელში მცხოვრებთა 21.3%-მა, მთაში მცხოვრებთა 7%-მა. მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა.

დავალემა 22. ფრინველების ჩამოთვლა შეძლო I კლასელთა 29%-მა; 5 წლიან მოსწავლეთა 8.8%-მა, 6 წლიან მოსწავლეთა 20.2%-მა (მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა), ბაღში მოსიარულე მოსწავლეთა 21.7%-მა, არმოსიარულეთა 7.3%-მა (მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა).

ფრინველების ჩამოთვლა შეძლო ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეთა 14.1%-მა, სოფლის მცხოვრებთა 11.1%-მა, მთის 3.8%-მა. განსხვავება არ არის სტატისტიკურად სანდო; I კლასელთა უმრავლესობას გაუჭირდა ფრინველების ჩამოთვლა.


დავალება 23. ხილის ჩამოთვლა შეძლო I კლასელ მოსწავლეთა 53.4%-მა; 5 წლიან მოსწავლეთა 15.7%-მა, 6 წლიან მოსწავლეთა 37.8%-მა. მათ შორის დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება. ($X^2=5.403$ თ.ხ=1 $p<0.05$) (იხ. დიაგრამა 37).

დიაგრამა 37



ხილის ჩამოთვლა შეძლო ბაღში მოსიარულე მოსწავლეთა 47.3%-მა, არმოსიარულე მოსწავლეთა 16.3%-მა. მათ შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა. ($X^2=11.007$ თ.ხ=1 $p<0.05$) (იხ. დიაგრამა 38)

დიაგრამა 38




ხილის ჩამოთვლა შეძლო ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეთა 29.9%-მა, სოფელში მცხოვრებ მოსწავლეთა 18%-მა, მთაში მცხოვრებ მოსწავლეთა 5.5%-მა. განსხვავება არ არის სტატისტიკურად სანდო.

თვლის პროცესი

დავალება 7. I კლასელთა 38.9 % იცის 20-მდე თვლა; მხოლოდ 15-მდე ითვლის 31.3%; მხოლოდ 10-მდე - I კლასელთა 22.5%; მხოლოდ 5-მდე - 7.3%. (იხ. დიაგრამა 39).

დიაგრამა 39




მონაცემები ასაკის, ბალში მოსიარულეთა და არმოსიარულეთა, ქალაქის, მთისა და სოფლის მცხოვრებთა მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 13. ჯგუფების შედარებისას ყველა შემთხვევაში სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა.

ცხრილი 13

	5 წლის	6 წლის	არაორგანიზებული (ბალში არ დადიოდა)	ორგანიზებული (ბალში დადიოდა)	ქალაქი	სოფელი	მთა
5-მდე	3.2%	4.0%	9.0%	29.8%	2.7%	3.6%	1.0%
10-მდე	7.8%	14.8%	8.4%	22.9%	9.8%	9.8%	3.0%
15-მდე	8.6%	22.7%	7.8%	14.7%	21.1%	8.4%	1.9%
20-მდე	12.3%	26.6%	3.0%	4.3%	20.4%	13.0%	5.5%
	მათ შორის განსხვავება სანდოა $X^2=13.204$ თ.ბ=1 $p<0.005$		მათ შორის განსხვავება სანდოა $X^2=24.097$ თ.ბ=3 $p=0.000$		მათ შორის განსხვავება სანდოა $X^2=67.403$ თ.ბ=6 $p=0.000$		

დავალემა 8. I კლასელებს ეძლეოდათ თვალსაჩინო მასალა 10 საგნის გამოსახულებით. საგნების დათვლას თითის შეხებით წარმატებით ასრულებს I კლასელთა 70.6%; თითის დახმარებით, მაგრამ ისე, რომ საგნებს არ ეხება, ახერხებს I კლასელთა 6.0%; ჩურჩულითა და თავის ქნევით ითვლის 6.3%; ჩუმად, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით ითვლის 6.9 %; მოტორული კომპონენტების გარეშე თვლა შეუძლია 10.2%-ს (იხ. დიაგრამა 40).

დიაგრამა 40



5 და 6 წლიან, ბალში მოსიარულე და არმოსიარულე, ქალაქის, მთისა და სოფლის მცხოვრებ მოსწავლეთა ჯგუფების შედარებისას არც ერთ შემთხვევაში არ დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება.

საგნების თვალსა I კლასელთა უმრავლესობა წარმატებით ახერხებს, როდესაც თითოთ ეხება თვალსაჩინოებებს. ოპერაციის განხორციელება მოქმედებით პლანში ხდება.

არითმეტიკული ოპერაციები

არითმეტიკული ოპერაციების განხორციელებაზე დასაკვირვებელ მასალად 10 ფანქარი გამოვიყენეთ.

დავალება 9. არითმეტიკულ ოპერაციას (3+2) წარმატებით ასრულებს I კლასელთა 89.9%;

დავალება 10. არითმეტიკულ ოპერაციას (5-1) ასრულებს I კლასელთა 90.5%;

დავალება 11. არითმეტიკულ ოპერაციას (4+5) ასრულებს I კლასელთა 61.4 %;

დავალება 12. არითმეტიკულ ოპერაციას (9-3) ასრულებს I კლასელთა 70.7%.

მონაცემები ასაკის, ბაღში მოსიარულეთა და არმოსიარულეთა, ქალაქში, მთასა და სოფელში მცხოვრებთა მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 14.

ცხრილი 14

	5 წლის	6 წლის	არაორგანიზებული (ბაღში არ დადიოდა)	ორგანიზებული (ბაღში დადიოდა)	ქალაქი	სოფელი	მთა
3+2	28.8%	61.7%	24.4%	65.5%	49.7%	30.6%	9.6%
5-1	27.7%	62.7%	23.9%	66.6%	50.1%	30.4%	10.1%
4+5	18.8 %	42.6%.	14.6%	46.8%	36.0%	19.1%	6.3%
9-3	20.8%	49.9%	17.2%	53.4%	41.8%	21.5%	7.3%
	განსხვავება სანდოა თ.ბ=4 $X^2=13.106$ $p<.05$.		განსხვავება სანდოა თ.ბ=4 $X^2=44.520$ $p=.000$				განსხვავება სანდოა $p =.000$

5 და 6 წლიან, ბაღში მოსიარულე და არმოსიარულე, ქალაქში, სოფელსა და მთაში მცხოვრებ მოსწავლეთა ჯგუფების შედარებისას ყველა შემთხვევაში სტატისტიკურად სანდო განსხვავება დაფიქსირდა.

ყურადღება

დავალება 6. 7 განსხვავების შემცველ ნახატებში 7-ვე განსხვავება დააფიქსირა I კლასელთა 3.6%-მა, 6 განსხვავება 6 %-მა, 5 განსხვავება 15.6%-მა, 4 განსხვავება 17.2%-მა, 3 განსხვავება 13.3%-მა, 2 განსხვავება 12.5%-მა, მხოლოდ 1 განსხვავება 10.3%-მა.

საშუალო მაჩვენებელია 2.8496 (3); საშუალოდ I კლასელები 3 განსხვავებას პოულობენ.

მონაცემები ასაკის, ბაღში მოსიარულეთა და არ მოსიარულეთა, ქალაქის, მთისა და სოფლის მცხოვრებთა მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 15.

ცხრილი 15


განსხვავებათა რაოდენობა	5 წლის	6 წლის	არაორგანიზებული (ბაღში არ დადიოდა)	ორგანიზებული (ბაღში დადიოდა)	ქალაქი	სოფელი	მთა
7	0.9%	2.6%	0.9%	2.7%	2.7%	0.8%	0.1%
6	1.5%	4.5%	0.9%	5.2%	4.2%	1.4%	0.4%
5	4.0%	11.6%	2.8%	12.8%	10.8%	3.0%	1.7%
4	5.4%	11.8%	4.3%	12.9%	10.9%	4.8%	1.5%
3	4.9%	8.4%	3.4%	9.9%	8.3%	4.4%	0.7%
2	4.2%	8.3%	4.4%	8.1%	5.8%	5.2%	1.4%
1	3.6%	6.7%	3.2%	7.1%	3.7%	5.0%	1.6%
0	7.5%	13.8%	8.5%	12.8%	7.3%	10.1%	4.0%
	განსხვავება სანდო არ არის		განსხვავება სანდოა $X^2=53.166$ თ.ბ=9 $p=0.00$		განსხვავება სანდოა $X^2=147.860$ თ.ბ=18 $p =0.00$		

სანდო განსხვავება დაფიქსირდა ბალში მოსიარულე და არმოსიარულე მოსწავლეთა, ასევე ქალაქში, სოფელსა და მთაში მცხოვრებ მოსწავლეთა შორის.

მეხსიერება

დავალება 13. 4 წინადადებისგან შემდგარი სიუჟეტის დამახსოვრება და დამოუკიდებლად გამეორება I კლასელთა 18.6%-მა შეძლო; დამოუკიდებლად მოყოლა, მაგრამ მცირე შეცდომებით – 18.9%-მა; შეკითხვების დახმარებით სწორად უპასუხა I კლასელთა 27.3%-მა; შეკითხვების დახმარებით, მაგრამ ზოგიერთ შეკითხვაზე შეცდომით უპასუხა I კლასელთა 30.6%-მა (იხ. დიაგრამა 41).

დიაგრამა 41



მონაცემები ასაკის, ბალში მოსიარულეთა და არმოსიარულეთა, ქალაქის, მთისა და სოფლის მცხოვრებთა მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 16.

ცხრილი 16

	5 წლის	6 წლის	არაორგანიზებული (ბალში არ დადიოდა)	ორგანიზებული (ბალში დადიოდა)	ქალაქი	სოფელი	მთა
დამოუკიდებლად გაიმეორა	4.5%	14.2%	3.4%	15.2%	12.4%	4.7%	1.6%
გაიმეორა დამოუკიდებლად, მცირე შეცდომებით	6.3%	12.6%	4.8%	14.1%	10.9%	5.7%	2.3%
შეკითხვების დახმარებით სწორად უპასუხა	8.4%	18.9%	7.5%	19.8%	14.1%	10.6%	2.5%
ზოგიერთ შეკითხვაზე არასწორად უპასუხა	11.0%	19.6%	10.3%	20.3%	14.6%	11.9%	4.1%
	განსხვავება სანდო არ არის		განსხვავება სანდოა $X^2=40.787$ თ.ბ=4 $p=0.00$		განსხვავება სანდოა $X^2=36.618$ თ.ბ=4 $p=0.00$		


სანდო განსხვავება დაფიქსირდა ბალში მოსიარულე და არმოსიარულე მოსწავლეთა, ასევე ქალაქში, სოფელსა და მთაში მცხოვრებ მოსწავლეთა შორის.

ზეპირად მიწოდებული მცირე ტექსტის დახსოვება და უშეცდომოდ რეპროდუქცია შეძლო I კლასელთა 18.6%-მა. ამიტომ, თუ მასწავლებლის მიზანია მოსწავლეს მცირე სიუჟეტი, ლექსი დაასწავლოს, ის რამდენჯერმე უნდა გაუმეოროს მათ.

აზროვნება (მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარების უნარი)

დავალემა 16. ნიმუშის ჩვენების შემდეგ 4 სიუჟეტური ნახატი სწორი თანმიმდევრობით დაანყო I კლასელთა 32.9%-მა; 4 ნახატი სწორად დაანყო, მაგრამ თხრობისას ძირითადი არსის გარდა აღწერა მეორეხარისხოვანი დეტალებიც I კლასელთა 6.5%-მა; 4-ვე ნაწილი სწორად დააკავშირა, მაგრამ სიტყვიერად ვერ გადმოსცა მოსწავლეთა 1.7%-მა; სწორად მხოლოდ 3 ნახატი დააკავშირა 9.9%-მა; სწორად მხოლოდ 2 ნახატი დააკავშირა 11.5%-მა; სურათები ვერ დააკავშირა, მაგრამ მათი აღწერა ცალ-ცალკე შეძლო I კლასელთა 29.6%-მა; საერთოდ ვერ შეასრულა დავალემა I კლასელთა 7.5%-მა (იხ. დიაგრამა 42).

დიაგრამა 42



მონაცემები ასაკის, ბალში მოსიარულებთა და არმოსიარულებთა, ქალაქის, მთისა და სოფლის მცხოვრებთა მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 17.

ცხრილი 17

	5 წლის	6 წლის	არაორგანიზებული (ბალში არ დადიოდა)	ორგანიზებული (ბალში დადიოდა)	ქალაქი	სოფელი	მთა
4 ნახატი სწორად დაანყო	9.3%	23.6%	6.4%	26.4%	23.6%	7.2%	2.1%
4 ნახატი სწორად დაანყო, თხრობისას მეორეხარისხოვანი დეტალებსაც დაუთმო ყურადღება	2.1%	4.4%	1.3%	5.2%	3.7%	2.1%	0.7%
სწორად დაანყო, მაგრამ სიტყვიერად ვერ გადმოსცა	0.4%	1.3%	0.6%	1.1%	0.5%	1.0%	0.2%
მხოლოდ 3 სურათი დაანყო სწორად	3.2%	6.6%	2.8%	7.0%	5.6%	3.4%	0.8%
მხოლოდ 2 სურათი დაანყო სწორად	3.6%	8.0%	3.6%	8.0%	6.2%	4.5%	0.9%
სურათები ცალ-ცალკე აღწერა	10.7%	19.1%	9.7%	20.1%	11.1%	13.8%	4.9%
ვერ შეასრულა დავალემა	2.8%	4.8%	4.1%	3.5%	2.9%	3.0%	1.7%
	განსხვავება სანდო არ არის.		განსხვავება სანდოა $X^2=63.312$ თ.ბ=6 $p=0.000$		განსხვავება სანდოა $X^2=141.491$ თ.ბ=6 $p=0.000$		

პილოტირების დროს აღნიშნულ დავალებას წარმატებით ასრულებდა მხოლოდ 12%. დავალების შესრულებაზე გავლენა მოახდინა შესავალმა დავალებამ, როდესაც ჯერ უფროსმა უჩვენა, თუ როგორ უნდა შესრულებულიყო. ამიტომ, სასურველია, ახალ სააზროვნო დავალებას, ინსტრუქციასთან ერთად ახლდეს „მოდელის“- მასწავლებლის შესრულებაზე - დაკვირვება. აზროვნება (თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების ოპერაციები)

აღნიშნული დავალებები წარმოადგენს მეთოდუკას „მე-4 ზედმეტია“ და საშუალებას გვაძლევს, ვიკვლიოთ, რამდენად შეუძლიათ ბავშვებს მოვლენებს შორის საერთო ნიშნის დაფიქსირება და განსხვავებული ნიშნით საგნების გამოცალკევება, შემდეგ კი საერთო ნიშნის მქონე მოვლენების ერთ კატეგორიაში მოქცევა (ნ. ბელოპოლსკაია 1976).

დავალება 23.1. დავალებაში „მეოთხე ზედმეტია“ (შემდეგი ჯგუფიდან – კნუტი, ია, ენძელა, შროშანა) ზედმეტის – კნუტის - დასახელება შეძლო სკოლამდელთა 73%-მა;

დავალება 23.1.1. ყვავილების ერთი კლასისთვის მიკუთვნება შეძლო 77.4%-მა;

დავალება 23.2. დავალებაში „მეოთხე ზედმეტია“ (შემდეგი ჯგუფიდან- ძროხა, ცხენი, ჩიტი, ვირი) ზედმეტის – ჩიტის - დასახელება შეძლო I კლასელთა 69.3%-მა;

დავალება 23.2.1. ცხოველების ერთ კლასში მოქცევა შეძლო 63%-მა;


დავალება 23.3. დავალებაში „მეოთხე ზედმეტია“ (შემდეგი ჯგუფიდან – მიხაკი, პალმა, ტირიფი, ნაძვი) ზედმეტის – მიხაკის - დასახელება შეძლო სკოლამდელთა 64.3%-მა;


დავალება 23.3.1. ხეების ერთ კლასში მოქცევა შეძლო 69.5%-მა;

დავალება 23.4. დავალებაში „მეოთხე ზედმეტია“ (შემდეგი ჯგუფიდან –ნაქსოვი შარფი, ქუდი, ხელთათმანები, საცურაო კოსტიუმი) ზედმეტის – საცურაო კოსტიუმის - დასახელება შეძლო სკოლამდელთა 46%-მა;

დავალება 23.4.1. ზამთრის ტანსაცმლის ერთ კლასში მოქცევა შეძლო 40.1%-მა. (იხ. დიაგრამა 43, 44)

დიაგრამა 43





მონაცემები ასაკის, ბალში მოსიარულეთა და არ მოსიარულეთა მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 18.

ცხრილი 18

	5 წლის	6 წლის	არაორგანიზებული (ბალში არ დადიოდა)	ორგანიზებული(ბალში დადიოდა)
ზედმეტია კნუტი	21.6%	51.8%	20.3%	53.1%
ყვავილების ერთი კლასისთვის მიკუთვნება	24.0%	53.4%	21.8%	55.6%
ზედმეტია ჩიტი	20.5%	48.8%	17.0%	52.2%
ცხოველების ერთი კლასისთვის მიკუთვნება	18.4%	45.2%	15.5%	48.1%
ზედმეტია მიხაკი	18.6%	45.7%	15.4%	48.9%
ხეების ერთი კლასისთვის მიკუთვნება	20.7%	48.8%	17.7%	51.8%
ზედმეტია საცურაო კოსტუმი	13.7%	32.3%	11.1%	34.6%
ზამთრის სამოსის ერთი კლასისთვის მიკუთვნება	11.5%	28.6%	10.1%	30.0%
	განსხვავება სანდოა $X^2=17.269$ თ.ხ=4 $p < 0.05$		განსხვავება სანდოა $X^2=34.929$ თ.ხ=4 $p = 0.05$	

მონაცემები ქალაქის, მთისა და სოფლის მცხოვრებთა მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 19.

ცხრილი 19

	ქალაქი	მთა	სოფელი
ზედმეტია კნუტი	41.9%	23.4%	8.1%
ყვავილების ერთი კლასისთვის მიკუთვნება	41.2%	27.4%	8.8%
ზედმეტია ჩიტი	41.7%	21.7%	5.8%
ცხოველების ერთი კლასისთვის მიკუთვნება	37.0%	20.6%	6.0%
ზედმეტია მიხაკი	39.7%	18.2%	6.4%
ხეების ერთი კლასისთვის მიკუთვნება	39.5%	22.4%	7.6%
ზედმეტია საცურაო კოსტიუმი	30.1%	11.6%	4.4%
ზამთრის სამოსის ერთი კლასისთვის მიკუთვნება	24.4%	12.1%	3.6%
	X ² =12.545 განსხვავება სანდოა თ.ბ=8p<0.05.		

თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების ოპერაციებს წარმატებით ასრულებენ I კლასელები. მათ შეუძლიათ მოვლენებს შორის კავშირის პოვნა, საერთო ნიშნის დაფიქსირება და განსხვავებული ნიშნით საგნების გამოცალკევება. აღნიშნული დავალების შესრულებისას სანდო განსხვავება დაფიქსირდა როგორც 5 წლიანებისა და 6 წლიანების ჯგუფებს, ისე ბაღში მოსიარულეთა და არმოსიარულეთა, ქალაქის, სოფლისა და მთის მცხოვრებთა შორის. ბაღში სიარულის ხანგრძლივობასა და ანალიზის, სინთეზის, განზოგადების ოპერაციებს შორის არის დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია (r=0.267; p=0.01). დადებითი კორელაცია დაფიქსირდა დედის განათლებასა და დავალების „მე-4 ზედმეტია“ შესრულებას შორის. (r =0.72; p<0.05).

დასკვნები

1. პირველკლასელთა 47.7% წარმატებით ასრულებს დავალებებს თვალსაჩინოზე;
 2. საგნების დათვლას თითის შეხებით წარმატებით ასრულებს I კლასელთა 70.6%;
 3. არითმეტიკულ ოპერაციებს 10-ის ფარგლებში რეალურ საგნებზე დაყრდნობით წარმატებით ასრულებს I კლასელთა 76%;
 4. 7 განსხვავების შემცველ ნახატებში პირველკლასელები საშუალოდ 3 განსხვავებას პოულობენ;
 5. 4 წინადადებისგან შემდგარი სიუჟეტის გამეორება დამოუკიდებლად I კლასელთა 18.6%-მა შეძლო; დამოუკიდებლად მოყოლა, მაგრამ მცირე შეცდომებით – 18.9%-მა; შეკითხვების დახმარებით სწორად უპასუხა I კლასელთა 27,3%-მა.
 6. I კლასელთა 41.1 % შეძლო თანმიმდევრულად 4 სურათის სწორად დაწყობა.
- თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით ლოგიკური თანმიმდევრობის დამყარება შემეცნებითი მზაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია;
- პილოტირების დროს აღნიშნულ დავალებას ასრულებდა სკოლამდელთა მხოლოდ 12%. დავალების შესრულებაზე გავლენა მოახდინა შესავალმა დავალებამ, როდესაც ჯერ უფროსმა უჩვენა, თუ როგორ უნდა შესრულებულიყო. ამიტომ ახალ სააზროვნო დავალებას, სასურველია, ინსტრუქციასთან ერთად ახლდეს „მოდელის“ - მასწავლებლის შესრულებაზე - დაკვირვება.

7. დავალებაში „მე-4 ზედმეტია“ წარმოდგენილ 4 ობიექტში საერთო ნიშნის მოძიება და საერთო ნიშნის არმქონე საგნის დასახელება წარმატებით შეძლო I კლასელთა 63%-მა. საერთო ნიშნის განზოგადება და 3 ობიექტის ერთ კატეგორიად ფორმირება 62.5%-მა შეძლო. კატეგორიზაცია ცნების ფორმირების წინაპირობაა. მოვლენებს შორის ძირითადი კავშირების დამყარება სკოლისთვის შემეცნებითი მზაობის მნიშვნელოვანი კომპონენტია.
8. ბაღში სიარულის ხანგრძლივობა დადებითად აისახა ბავშვების მიერ განზოგადების ოპერაციის განხორციელებაზე;
9. რაც უკეთ ახორციელებს ბავშვი განზოგადების ოპერაციას, მით უკეთ თანამშრომლობს თანატოლებთან;
10. რაც უფრო განათლებულია მოსწავლის დედა, მით უკეთ ახორციელებს ბავშვი განზოგადების ოპერაციას;
11. მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა 5 და 6 წლის მოსწავლეთა შორის შემდეგ დავალებებში: კვირის დღეების ცოდნა, ხილის ჩამოთვლა, თვლის პროცესი, არითმეტიკული ოპერაციების განხორციელების უნარი, ტექსტის დამახსოვრება და რეპროდუქცია, განზოგადების უნარი.
12. მშობლის კითხვარისა და ბავშვზე დაკვირვების ინსტრუმენტში შესული დავალებების შედარებისას მივიღეთ, რომ სანდო კორელაცია არ დაფიქსირდა არც ოჯახის სტატუსსა და ნებელობას (იმპულსის შეკავების უნარს), „მე-4 ზედმეტია“-სა და თვალსაწიერს შორის;
13. კორელაცია არ დაფიქსირდა არც ბაღში სიარულის ხანგრძლივობას, „მე-4 ზედმეტია“-სა და თვალსაწიერს შორის;

სჯერო: სოციალურ-ემოციური განვითარება

სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს ბავშვის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას და ადამიანებთან ურთიერთობის უნარს. სოციალური სფერო მოიცავს ბავშვის უნარს, დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემომყოფებთან.

მეცნიერები, რომლებიც იკვლევდნენ სასკოლო მზაობას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პიროვნულ, მოტივაციურ და სოციალურ სფეროს. „სოციალური მომწიფება და არა ტექნიკური ცოდნა (კითხვა, თვლა) წარმოადგენს სკოლისათვის მზაობას“¹.

სასკოლო მზაობის მკვლევარი მეცნიერები (ა. კერნი, ი. იერასეკი) სოციალურ-ემოციურ სფეროს ცალ-ცალკე განიხილავდნენ.² მათი მოსაზრებით, ემოციურ მზაობაზე მეტყველებს:

1. იმპულსური რეაქციების შეკავება;
2. უინტერესო საქმის ხანგრძლივად კეთების უნარი.

სოციალურ მზაობაზე კი მეტყველებს:

1. ბავშვის თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება და უნარი, დაუქვემდებაროს საკუთარი ქცევა ბავშვების ჯგუფის კანონებს;
2. მოსწავლის როლის შესრულების, უფროსებთან ურთიერთობის უნარი.

კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა

სოციალურ-ემოციური მზაობის საკვლევად მოცემული სფერო ჩვენც დავყავით ორ ნაწილად: სოციალური ურთიერთობების სფეროდ და ემოციურ-ნებელობით სფეროდ.

სოციალური და ემოციური განვითარების სფეროში ზოგი დავალება მშობლის კითხვარისთვის იყო გათვალისწინებული, ზოგი კი - უშუალოდ ბავშვის ინსტრუმენტისთვის. ინსტრუმენტის პილოტირების შემდეგ მშობლის კითხვარი უცვლელი დარჩა, შემოკლდა ბავშვზე დაკვირვების ფორმა.

მოკლედ შევეხებით თითოეულ დავალებას:

1. მშობლის კითხვარი 3 შეკითხვისგან შედგება და შესაძლებლობას იძლევა, მივიღოთ ინფორმაცია ბავშვის თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობის უნარის შესახებ.

1 Божович Е. Психологические и методические аспекты исследования позиции субъекта учения. Психолого-педагогические проблемы развития школьника, как субъекта учения. М. - Воронеж. 2000.

2 Анастаси А. Психологическое тестирование. Т.1. М.: Педагогика. 1982.

2. მეთოდთა „დახატე სახლი“ წარმოადგენს წინასწარ დახატული ნიმუშის მიხედვით ხატვას. ნიმუში 7 დეტალისგან შედგება, რომელთაც გეომეტრიული ფიგურების ფორმა აქვთ. მეთოდთა საშუალებას იძლევა, დავაკვირდეთ ბავშვის უნარს როგორც აღქმის, თვალისა და ხელის კოორდინაციის, ასევე, ყურადღების ნებელობით მართვისა და ზოგადად მოქმედების ნებელობითი რეგულაციის უნარს (ნ. გუტკინა 2004).

3. მეთოდთა „კი“ და „არა“ არ თქვა“ წარმოადგენს წესებით თამაშს, რომლის დროსაც ბავშვმა უნდა შეიკავოს იმპულსი და მოიფიქროს პასუხი. ის 8 შეკითხვისგან შედგება. (იხ. ცხრილი 20)

ცხრილი 20

	დავალების შინაარსი	უნარი, რომელსაც აფასებს აღნიშნული დავალება
1, 2.	მშობლის კითხვარი	სოციალური ურთიერთობების სფერო
2	დახატე „სახლი“- ბავშვზე დაკვირვების ფორმა	ნიმუშის მიხედვით ხელმძღვანელობის უნარი
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8	„კი“ და „არა“ არ თქვა“- ბავშვზე დაკვირვების ფორმა	წესების მიხედვით ხელმძღვანელობის, იმპულსური რეაქციების შეკავების უნარი

შედეგები

ქვესფერო - ემოციური განვითარება

ნებელობის - იმპულსური რეაქციების შეკავების უნარის საკვლევი დავალება წარმოადგენს წესებიან თამაშს „კი“ და „არა“ არ თქვა“. რომლის დროსაც ბავშვმა უნდა უპასუხოს დამკვირვებელს ისე, რომ არ გამოიყენოს სიტყვები „კი“ და „არა“. თამაში ბავშვს აძლევს საშუალებას, იმოქმედოს წესების დაცვით. მოცემული დავალების შესრულება შეუძლებელია ყურადღების და მახსიერების ნებელობითი მართვის და მოქმედების ნებისმიერი რეგულაციის გარეშე (ნ. გუტკინა 2004).

იმისათვის, რომ ბავშვმა სწორად უპასუხოს შეკითხვებს, საჭიროა მუდამ ახსოვდეს ინსტრუქცია და არ გაეფანტოს ყურადღება. ბავშვმა უნდა აკონტროლოს „კი“ და „არა“ წარმოთქმის სურვილი და თან მოიფიქროს პასუხი.

დავალება 1.1. "მოგნონს სკოლაში სიარული?" ინსტრუქციის შესაბამისად პასუხობს სკოლამდელთა - 68.7%;

დავალება 1.2."გიყვარს მულტფილმების ყურება?" ინსტრუქციის შესაბამისად პასუხობს სკოლამდელთა 71.6 %;

დავალება 1.3. "ბიჭი ხარ? გოგონა ხარ?" ინსტრუქციის შესაბამისად პასუხობს სკოლამდელთა 73.3%;

დავალება 1.4. "თევზები დაფრინავენ?" ინსტრუქციის შესაბამისად პასუხობს სკოლამდელთა 32.5 %;

დავალება 1.5. "ნაყინი გიყვარს?" ინსტრუქციის შესაბამისად პასუხობს სკოლამდელთა 64 %;

დავალება 1.6. "ზაფხულში ცივა?" ინსტრუქციის შესაბამისად პასუხობს სკოლამდელთა 33.60%;

დავალება 1.7. "თოვლი შავია?" ინსტრუქციის შესაბამისად პასუხობს სკოლამდელთა 58.1%;

დავალება 1.8. "ბალახი წითელია?" ინსტრუქციის შესაბამისად პასუხობს სკოლამდელთა 61.0. %.

1 კლასელთა უმრავლესობამ (57,8%) წარმატებით შეძლო ზეპირად მიწოდებული ინსტრუქციის მიხედვით მოქმედება, იმპულსის შეკავება და მოთხოვნის შესაბამისად რეაგირება.

აღნიშნული დავალების დაჯამებული მონაცემის შედარებისას ასაკის მიხედვით, ასევე ბაღში მოსიარულეთა და არმოსიარულეთა შორის სტატისტიკურად სანდო განსხვავება არ დაფიქსირდა. სანდო განსხვავება მივიღეთ ქალაქსა და სოფელში მცხოვრებ მოსწავლეთა შორის ($X^2=34.495$ თ.ბ=16, $p=0.05$).

- კორელაცია ნებელობას (იმპულსური რეაქციების შეკავების უნარი) და თვალსაწიერს შორის არის დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ($r=0.292$; $p=.000$)
- კორელაცია ნებელობასა და არითმეტიკული ოპერაციების განხორციელების უნარს შორის არის დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($r=0.216$; $p=.000$).
- კორელაცია ნებელობასა და ანალიზის, სინთეზის, განზოგადების ოპერაციების

განხორციელებას შორის არის დადებითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ($r = 0.268$; $p = 000$).

ნიმუშის მიხედვით ხელმძღვანელობის უნარის კვლევისთვის სკოლამდებებს უნდა გადაეხატათ სახლი. სახლი 7 დეტალისგან შედგებოდა. მათ სახლის ყველა დეტალი უნდა გადაეხატათ.


- დავალბა 2.1. სახურავს იხატავს სკოლამდელთა 97.3%;
- დავალბა 2.2. საკვამურს იხატავს I კლასელთა 89.3%;
- დავალბა 2.3. ბოლს/კვამლს – 87.8%;
- დავალბა 2.4. მრგვალ ფანჯარას წარმატებით ხატავს I კლასელთა 88.3%;
- დავალბა 2.5. დიდ ოთხკუთხედს ხატავს I კლასელთა 98.1%;
- დავალბა 2.6. ოთხკუთხედ ფანჯარას ხატავს I კლასელთა 95.4%;
- დავალბა 2.7. ლობეს — 91.8%;

აღნიშნულ დავალებას საშუალოდ I კლასელთა 92.5% ასრულებს; 5 წლიან მოსწავლეთა 24.9%, 6 წლიან მოსწავლეთა 66%; ბაღში მოსიარულე მოსწავლეთა 67.6%, ბაღში არმოსიარულე მოსწავლეთა 67.6%; ქალაქში მაცხოვრებელ მოსწავლეთა 51.2%, სოფელში მცხოვრებ მოსწავლეთა 31.4%, მთაში მაცხოვრებელ მოსწავლეთა 9.8%.

ქვესწერო – სოციალური განვითარება

შეკითხვაზე, თუ როგორ ურთიერთობს ბავშვი ნაცნობ უფროსებთან, მშობელთა 37.8% პასუხობს, რომ ბავშვი თავისუფლად შედის კონტაქტში; 55.7% თვლის, რომ თავიდან მორცხვობს, მაგრამ შემდეგ შედის კონტაქტში; 5.2% პასუხობს, რომ უფროსებთან ბავშვი უცხოობს და მხოლოდ მშობლის ჩარევით ურთიერთობს; „უფროსებთან ვერ ურთიერთობს“ - უპასუხა მშობელთა 1.3%-მა (იხ. დიაგრამა 45).

დიაგრამა 45



მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა ნებელობის საკვლევ დავალებებსა და სოციალური განვითარების, უცხო, უფროს ადამიანებთან ურთიერთობის უნარს შორის. (იხ. ცხრილი 21)


ცხრილი 21

	უცხო უფროსთან ურთიერთობა	საშუალო ქულა
1	უცხოობს, მაგრამ ოჯახის წევრის ჩარევით ურთიერთობს	4.1690
2	უფროსებთან თავიდან მორცხვია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ინყებს მათთან ურთიერთობას	4.5857
3	უფროსებთან თავისუფლად ურთიერთობს	4.7518
X ² =3.801; p<0.5.		

ყველაზე მაღალი ქულა დაფიქსირდა ნებელობის საკვლევ (დაჯამებულ) მეთოდიკას და უფროს ადამიანთან ურთიერთობის საკვლევ კითხვის კატეგორიასთან - „უფროსებთან თავისუფლად ურთიერთობს“; ხოლო ყველაზე დაბალი - „უცხოებს, მაგრამ ოჯახის წევრის ჩარევით ურთიერთობს“. მე-2 შეკითხვაზე – ერთვება თუ არა ბავშვი თანატოლებთან თამაშში - მშობელთა 99.2% დადებით პასუხს იძლევა;

3. თანამშრომლობის უნარის კვლევისას მშობელთა 61.3% თვლის, რომ ბავშვი თამაშისას უზიარებს სათამაშოებს სხვა ბავშვებს, მშობელთა 30.7% პასუხობს, რომ სათამაშოებს მხოლოდ მეგობრებს ათხოვებს; 3.8% პასუხობს, რომ ბავშვი თვითონ არ ათხოვებს სათამაშოებს, თუმცა, სხვისი სათამაშოებით იოლად თამაშობს; მხოლოდ 3.8% პასუხობს, რომ ბავშვს არ უყვარს სათამაშოების თხოვება (იხ. დიაგრამა 46).

დიაგრამა 46



მნიშვნელოვანი განსხვავება დაფიქსირდა აზროვნების საკვლევ დავალებას „მე-4“ „ზედმეტია“ და თანატოლებთან თანამშრომლობის უნარს შორის. (იხ. ცხრილი 22).

ცხრილი 22

	თანატოლებთან თანამშრომლობა	საშუალო ქულა
1	ბავშვს არ უყვარს სათამაშოების თხოვება	4.4815
2	თვითონ არ ათხოვებს სათამაშოებს, თუმცა, სხვა ბავშვების სათამაშოებით ხალისით თამაშობს	4.3519
3	სათამაშოებს მხოლოდ მეგობრებს ათხოვებს	5.0192
4	სათამაშოებს ხალისით უნანილებს მეგობრებსაც და უცხო ბავშვებსაც	5.0433
	=4.412, p<0.5	

ყველაზე მაღალი ქულა დაფიქსირდა განზოგადების უნარის საკვლევ დავალებას „მე-4 ზედმეტია“ თანატოლებთან თანამშრომლობის უნარის საკვლევ კითხვის კატეგორიასთან - „სათამაშოებს ხალისით უნანილებს მეგობრებსაც და უცხო ბავშვებსაც“, ხოლო ყველაზე დაბალი - „თვითონ არ ათხოვებს სათამაშოებს, თუმცა, სხვა ბავშვების სათამაშოებით ხალისით თამაშობს“.

დასკვნები:

1. იმპულსის შეკავებასა და ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებას წარმატებით ახერხებს I კლასელთა 57.8%;
2. მოსწავლეთა 55% იხატავს სახლის ყველა დეტალს (ნახატი 7 დეტალისგან შედგება); (ზემოთ აღნიშნული დავალებები ინფორმაციას გვაძლევს ნებელობით მოქმედების უნარზე).
3. მშობელთა 37.8% მიიჩნევს, რომ ბავშვი თავისუფლად შედის უფროსებთან კონტაქტში;
4. მშობელთა 99.2% მიიჩნევს, რომ I კლასელები ხალისით ერთვებიან თანატოლებთან თამაშში;
5. მშობელთა 61.3% მიიჩნევს, რომ პირველკლასელები თამაშისას ხალისით უნანილებენ სათამაშოებს სხვა ბავშვებს;
6. დაფიქსირდა კავშირი ნებელობით მოქმედების უნარის განხორციელებასა და თვალსაწიერის შორის. რაც უკეთ შეუძლია ბავშვს იმპულსის შეკავება და ინსტრუქციის შესაბამისად მუშაობა, მით ფართოა მისი თვალსაწიერი;
7. რაც უკეთ შეუძლია ბავშვს იმპულსის შეკავება და ინსტრუქციის შესაბამისად მუშაობა, მით უკეთ ახორციელებს არითმეტიკულ ოპერაციებს;
8. უარყოფითი კავშირი დაფიქსირდა ნებელობით მოქმედებასა და ბაღში სიარულის ხანგრძლივობას შორის. ფორმალურ გარემოში ადრეული ჩართვა, თავისუფალი თამაშის შეზღუდვა უარყოფითად აისახა ბავშვების ნებელობის განვითარებაზე. ნებელობის საკვლევ მიეთოდოლოგია სხვა არაფერია, თუ არა წესებიანი თამაში;
9. კავშირი დაფიქსირდა ნებელობით მოქმედებასა და უფროსებთან ურთიერთობის უნარს შორის. ნებელობითი მოქმედება და უფროსებთან ურთიერთობის უნარი სკოლისათვის ფსიქოლოგიური მზაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს;
10. ქალაქში, სოფელსა და მთაში მცხოვრებ ბავშვთა შორის დავალებათა უმრავლესობის შესრულებისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სხვაობა.

სწავლის სწავლისადმი მიდგომა

სწავლისადმი მიდგომა მოიცავს მოტივაციურ ასპექტს, რომელიც ხსნის, თუ რატომ და რისთვის სწავლობს ბავშვი. სწავლის მოტივის არსებობის შემთხვევაში ხდება მოსწავლე სწავლის სუბიექტი და სწავლის პროცესი - მიზანმიმართული ქცევა. სწავლის მოტივი შედგება შემეცნებითი და ფართო სოციალური მოტივებისგან.

შემეცნებითი მოტივი უშუალოდაა სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებული. ეს არის ბავშვის შემეცნებითი ინტერესები, ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილება.

სწავლის ფართო სოციალურ მოტივებს კი მიეკუთვნება ბავშვის სურვილი - ურთიერთობა ჰქონდეს სხვა ადამიანებთან, მიიღოს მათგან შექება და აღიარება. სწორედ ეს ორი მოტივი ქმნის “მოსწავლის შინაგან პოზიციას”. ლ. ბოჟოვიჩი “მოსწავლის შინაგან პოზიციას” სასკოლო მზაობის მთავარ კრიტერიუმად მოიაზრებს. სწორედ ამ ახალი წარმონაქმნის ხარჯზე უჩნდება ბავშვს სკოლაში სწავლის სურვილი, მისადმი პოზიტიური დამოკიდებულება.

კვლევის ინსტრუმენტის მიმოხილვა

სწავლისადმი მიდგომის საკვლევად შემუშავდა კითხვები მშობელთათვის. კითხვები საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ბავშვის შემეცნებითი ინტერესების არსებობა, ინტელექტუალური აქტივობის განხორციელების სურვილი, სიხშირე და ინტენსივობა. (იხ. ცხრილი 23)

ცხრილი 23

	დავალების შინაარსი	უნარი, რომელსაც აფასებს აღნიშნული დავალება
1, 2, 3, 4.	კითხვები მშობელთათვის	სწავლის მოტივი (შემეცნებითი ინტერესების არსებობა)

შედეგები

1. შეკითხვაზე, უყვარს თუ არა ბავშვს, როდესაც უკითხავენ, მშობელთა 95,2% დადებით პასუხს იძლევა;
- 2.1. მშობელთა 91,1% პასუხობს, რომ თავსატეხებს, გამოცანებს ხშირად ეუბნებიან ბავშვებს;
- 2.2. თავსატეხის, გამოცანის შეთავაზების შემდეგ მშობელთა 60% პასუხობს, რომ ბავშვი დამოუკიდებლად ეძებს პასუხს; მშობელთა 34% პასუხობს, რომ ბავშვი უფროსის დახმარებას ითხოვს; მშობელთა 5,2% აღნიშნავს, რომ ბავშვი თავს არიდებს ამგვარ საქმიანობას.
3. მშობელთა 26% პასუხობს, რომ I კლასელი 30 წუთზე მეტ ხანს შეუსვენებლად არის ჩართული გონებრივ საქმიანობაში. 26,6% პასუხობს, რომ 26-30 წუთი არის ბავშვი ამგვარი საქმიანობით დაკავებული; 18,1% პასუხობს, რომ - 20-25 წუთი; 11,7% - 16-20 წუთი; 11,1% - 15 წუთი; ხოლო 5,2% პასუხობს, რომ მხოლოდ 5-10 წუთი.
4. მშობელთა 98,2% პასუხობს, რომ ბავშვი ხალისით ერთვება გონებრივ საქმიანობაში. მშობელთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ I კლასელებს უყვართ, როდესაც უკითხავენ, ბავშვები ხალისით ერთვებიან გონებრივ საქმიანობაში. ხალისით ეძებენ პასუხებს. I კლასელები გამოირჩევიან შემეცნებითი აქტივობის მოთხოვნილებით, რაც სწავლის მოტივის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

დასკვნები

მშობელთა 95,2% მიიჩნევს, რომ I კლასელებს უყვართ, როდესაც უკითხავენ, 98,2% ხალისით ერთვება გონებრივ საქმიანობაში. I კლასელთა 60% ხალისით ეძებს პასუხებს. I კლასელები გამოირჩევიან შემეცნებითი აქტივობის მოთხოვნილებით, რაც სწავლის მოტივის ძირითადი კომპონენტია.

რეკომენდაციები

1. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა გავლენას ახდენს სასკოლო მზაობასა და განვითარების ნიშანსვეტებზე. სკოლაში შესვლამდე მიზანშეწონილია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათ შორის, მხედველობის სკრინინგის ჩატარება, ვირუსული ინფექციების პრევენცია და დროული იმუნიზაცია;
2. მშობელთა გამოკითხვით დადგინდა, რომ ბავშვთა უმეტესობა აქტიურ თამაშებსა და ვარჯიშს დროის ძლიერ მცირე მონაკვეთს უთმობს. ჰიპოდინამია მრავალი დაავადების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში და განსაკუთრებით მომავალ თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. მოცემული მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი სტრატეგიაა მშობელთა და თავად ბავშვთა განათლება ჯანმრთელი ცხოვრების წესის, დაავადებათა პრევენციის, ჰიგიენის, გაკაჟების და სხვა საკითხებზე. მეტად მნიშვნელოვანია მოცემული საკითხების შეტანა სკოლამდელი დაწესებულების კურიკულუმში;
3. კვლევა გვიჩვენებს, რომ 5-6 წლის ასაკში მაღალია ჭარბი წონის და სიმსუქნის გავრცელება, რაც შემდგომში აღნიშნული პრობლემის განვითარების რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია კვების სწორი პრინციპების დამკვიდრება მოცემული ასაკის ბავშვთა პოპულაციაში და სკოლის ასაკის ბავშვთა ნუტრიციული კვლევის წარმოება;
4. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ბავშვთა უმეტესობა ასრულებს უხეში მოტორიკის ნიშანსვეტებს, თუმცა, კვლევაში ჩართულ ბავშვთა მესამედი ვერ იცავს წონასწორობას და კოორდინაციას. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია უხეში მოტორიკის ხელშეწყობა სკოლამდელ დაწესებულებებში. იგივე შეიძლება ითქვას სივრცით ორიენტაციაზე. ბავშვთა დიდი ნაწილი ვერ ერკვევა მიმართებებში (ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ, მარცხნივ). მოცემულ საკითხებზე ყურადღება უნდა გამახვილდეს, პირველ რიგში, ოჯახში. კვლევამ აჩვენა, რომ ორგანიზებული ბავშვები უკეთ ასრულებდნენ მოცემულ დავალებას, ვიდრე არაორგანიზებულები. ამავდროს, მნიშვნელოვანია მოცემული ტიპის თამაშების შეტანა სკოლამდელი დაწესებულების კურიკულუმშიც;
5. ნატიფი მოტორული და ვიზუალურ-მოტორული უნარები, განსაკუთრებით ხატვა, წერა, ბავშვთა უმეტესობას საკმაოდ უჭირს. უნდა აღინიშნოს, რომ ნატიფი მოტორიკის განვითარება

მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან მრავალი კვლევით დადასტურდა, რომ ნატიფი მოტორიკის კარგი განვითარება დადებით კორელაციურ კავშირშია მეტყველების უნარისა და ლოგიკური აზროვნების განვითარებასთან. აღნიშნული მოსაზრებები დადასტურდა ჩვენი კვლევის მონაცემებითაც, რომელმაც გვიჩვენა დადებითი კორელაციური კავშირები ლოგიკური აზროვნების უნარებს, მეტყველებასა და ნატიფი მოტორიკის უნარებს შორის. ნატიფი მოტორიკის დავალებების შესრულების არასახარბიელო მაჩვენებლები მიუთითებს, რომ მეტი ყურადღებაა საჭირო როგორც ოჯახში, ასევე სკოლამდელ დაწესებულებებში მოცემული უნარების, განსაკუთრებით ხატვის, ძერწვის და წერის (ასოების გადმოხატვის) უნარების განვითარებისათვის. მშობლებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვის ისეთ მოქმედებებს (ფეხსაცმლის თასმის შეკვრა, ტანსაცმლის ჩაცმა, ღილების შეკვრა, დავარცხნა და სხვ.), რაც ნატიფ მოტორიკას ავითარებს. მეტად მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება აგრეთვე კლასიფიცირების – მსგავსი საგნების დაჯგუფების, ასაწყობი სათამაშოს აწყობის - უნარებზე;

6. მეტად მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ისევე, როგორც მშობელთა საგანმანათლებლო მასალაში, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის საკითხების გამოყოფა. მიუხედავად მშობლებისგან მიღებული ინფორმაციისა, რომ ბავშვთა უმეტესობამ იცის უსაფრთხოების წესები და იცავს ჰიგიენის ნორმებს, გამოვლინდა, რომ დიდი ნაწილი არ ფლობს ისეთ მარტივ პრინციპსაც კი, როგორც არის ქუჩაზე გადასვლის წესები, რაც მოცემული ასაკის ბავშვმა კარგად უნდა იცოდეს. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კურიკულუმი უნდა მოიცავდეს საკმაოდ ფართოდ მოცემულ საკითხებს და მოცემული საკითხების შესასწავლ აქტივობებს, ანუ თამაშის გზით მოცემული საკითხების დანერგვის პრინციპებს;

7. საგნების თვლას, არითმეტიკულ ოპერაციებს პირველკლასელთა უმრავლესობა, 76%, წარმატებით ახორციელებს მოქმედებით პლანში, რეალურ საგნებზე დაყრდნობით. პირველი კლასის პროგრამა, სასურველია, შეიცავდეს დავალებებს როგორც მოქმედებით, ისე თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით;

8. 4 სურათის თანმიმდევრობით დაწყობას წარმატებით ასრულებს I კლასელთა 41.1%. მაშინ, როცა პილოტირების დროს აღნიშნულ დავალებას ასრულებდა სკოლამდელთა მხოლოდ 17 %. დავალების შესრულებაზე გავლენა მოახდინა შესავალმა დავალებამ, როდესაც ჯერ უფროსმა უჩვენა, თუ როგორ უნდა შესრულებულიყო. ამიტომ ახალ სააზროვნო დავალებას, სასურველია, ინსტრუქციასთან ერთად ახლდეს „მოდელის“- მასწავლებლის შესრულებაზე - დაკვირვება;

9. ფორმალურ გარემოში ბავშვის ადრეული ჩართვა დადებითად აისახება ბავშვის გონებრივ განვითარებაზე, მაგრამ უარყოფითად - სოციალურ მზაობაზე. ამიტომ სკოლამდელ გარემოში ყურადღება უნდა დაეთმოს თამაშს. სწავლის მოტივაცია ჩნდება მაშინ, როდესაც ბავშვის სკოლამდელი ასაკის წამყვანი ქცევა — თამაში (რომელშიც ხდება ძირითადად ბავშვის ფსიქიკის ფორმირება), მოლეული აქვს. ოღონდ იმ პირობით, რომ თამაშმა განვლო თავისი განვითარების სრული გზა, მანიპულაციური თამაშიდან დაწყებული, წესებით თამაშამდე დასრულებული. ლ. ვიგოტსკის მოსაზრებით, თამაშის განვითარების პროცესში თანდათან მცირდება წარმოსახვითი თამაშის და იზრდება წესებით თამაშის როლი. სწავლის საფეხურზე გადასვლის დროს, ამიტომაც არის ძალიან მნიშვნელოვანი წესებით თამაშის უნარის არსებობა;

10. სანდო განსხვავება დაფიქსირდა 5 და 6 წლიან მოსწავლეებს შორის თვლის, არითმეტიკული ოპერაციების, ტექსტის დახსომებისა და რეპროდუქციის, თვალსაჩინო მასალაზე დაყრდნობით ანალიზის, სინთეზისა და განზოგადების ოპერაციების განხორციელების უნარის საკვლევ დავალებებში. ვინაიდან აღნიშნული უნარები გონებრივი მზაობის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, მიზანშეწონილია სასწავლო პროგრამებში 5 წლიანთა შესაძლებლობების გათვალისწინება და პედაგოგთათვის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შემუშავება 5 წლიანთა სწავლების სპეციფიკასთან დაკავშირებით;

11. სხვაობა დაფიქსირდა ბაღში მოსიარულეთა და არმოსიარულეთა შორის. სკოლამდელი გარემო ხელსაყრელ გარემოს ქმნის სკოლამდელთა შემეცნებითი განვითარების კუთხით;

12. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სოფელსა და მთაში მცხოვრებ მოსწავლეთა სკოლამდელ განათლებას მეტყველების სფეროში.

13. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ამ ასაკის ბავშვებისთვის

რთული ან ნაკლებად დაძლევადი ბგერითი სინთეზი და ანალიზი, რაც აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ ბავშვმა აითვისოს სკოლაში წერა-კითხვა. შესაბამისად, აუცილებელია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აქცენტი გაკეთდეს ამ მიმართულებით, სისტემურად დაიგეგმოს ისეთი თამაშები და აქტივობები, რომლებიც გამოუმუშავებს ბავშვებს აღნიშნულ უნარებს. იმავდროულად, საჭიროა ამალდეს მშობელთა ინფორმირებულობის დონე ბავშვის განვითარების საკითხებში. შესაძლებელია, დაიგეგმოს ამ მიმართულებით სასემინარო მუშაობა ან ტრენინგების სერია;

14. ლექსიკური მარაგი, სასკოლო მზაობის თვალსაზრისით, ბავშვების უმეტესობისათვის (83%) მეტად ღარიბია. ამ შემთხვევაშიც სასურველია, ეს საკითხი მოგვარდეს ისევ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩხარტიშვილი. (რედაქტორი). პედაგოგიკური ფსიქოლოგია. ტ.1. თბ.: გამომცემლობა განათლება. 1975.
2. Анастаси А. Психологическое тестирование. Т.1. М.: Педагогика. 1982.
3. Безруких М.М., Морозова Л.В. Методика оценки уровня развития зрительного восприятия детей 5–7,5 лет: Руководство по тестированию и обработке результатов. — М.: Новая школа, 1996
4. Белопольская Н. Психологическое исследование мотивов учебной деятельности у детей с задержкой психологического развития. Диссертация на соискание учёной степени канд. психологических наук. М.: 1976
5. Божович Е. Психологические и методические аспекты исследования позиции субъекта учения. Психолого-педагогические проблемы развития школьника, как субъекта учения. М. - Воронеж. 2000.
6. Витцлак Г. Принципы разработки и применения психодиагностических методов в школьной практике. Психодиагностика: теория и практика. М.: Педагогика. 1986.
7. Гуткина Н. Психологическая готовность к школе. СПб.: Питер. 1993.
8. Гуткина Н. Психологическая готовность к школе. СПб.: Питер. 2004.
9. Коноваленко С. Как подготовить ребёнка к школе. М.: Эксмо. 2004.
10. Нижегородцева Н.В., Шадриков В.Д. Комплексная диагностика готовности детей к обучению в школе. Ярославль, 1999.
11. Результаты изучения готовности первоклассников к обучению в школе. Федеральная служба по надзору в сфере образования и науки 2009
12. Age and stage questionnaire - განვითარების შეფასების კითხვარი
13. PEDS - მშობლის მიერ ბავშვის განვითარების შეფასების კითხვარი
14. PEDS-DM - ბავშვის განვითარების ნიშანსვეტების შეფასების ინსტრუმენტი
15. VER II – ბავშვის განვითარების შეფასების სკრინინგული ტესტი
16. Psychoeducational assessment of preschool children – Brucke, Bracken
17. The Bruininks-Oseretsky Test of Motor Proficiency, Second Edition
18. School readiness assessment test Kern
19. Franklin County Department of Jobs and Family Services School Readiness Assessment: A Review of the Literature, 2007
20. Brainline-school readiness evaluation 2003
21. Developmental and behavioral pediatrics – a handbook for primary care – Steven parker et al. 2007
22. School readiness test (SRT).

